

# ილორი

www.ilori.ge



№ 90 (151) 26 თებერვალი 2010 სანჯალაქო მოქრატობა "სამეგრელოს" ტრანსი 30 თებერი

## რისთვის ჩამოვიან მოხალისე მასწავლებლები საქართველოში

საქართველოში ჯერჯერობით 400-მდე მოხალისე ინგლისურის მასწავლებელი ჩამოვიდა. როგორც ამბობენ, მათი რიცხვი წლის ბოლომდე 1000-მდე გაიზრდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას, რომ მოხალისე მასწავლებლები სახელმწიფოსგან არანაირ ანაზღაურებას არ იღებენ.

“პროექტის პირობების თანახმად, ინგლისური ენის მოხალისე მასწავლებლები საქართველოში ერთი წლის განმავლობაში დარჩებიან და ოჯახებში იცხოვრებენ. ამასთან, არც მასწავლებლები და არც ოჯახები, სადაც ისინი ცხოვრობენ, სახელმწიფოსგან არანაირ ფინანსურ ანაზღაურებას არ იღებენ”, – განაცხადეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, ერთადერთი სარგებელი, რასაც მოხალისე მასწავლებელი პროექტში მონაწილეობისგან იღებს, ისაა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ “მოხალისე მასწავლებლის” ერთწლიანი სტაჟი მის კარიერულ წინსვლას შეუწყობს ხელს. ინგლისური ენის მოხალისე მასწავლებლები, დედაქალაქის გარდა, საქართველოს ყველა რეგიონისა და დიდი სოფლების სკოლებში გადანაწილდებიან.

შეგახსენებთ, რომ ინგლისურის მასწავლებლების ჩამოყვანას დიდ მიღწევად თვლიდა ჩვენი ხელისუფლება და იმასაც ამაყად აცხადებდა, რომ მათ 500 ლარი ექნებოდათ ხელფასი. საინტერესოა, ხელისუფლებამ მართლა “გადაადგო” უცხოელი მასწავლებლები, თუ, უბრალოდ, ქართველი მასწავლებლების გაღიზიანებას “ერიდება” და უცხოელი მასწავლებლების უხელფასოდ მუშაობაზე იმიტომ აღაპარაკდა?!

შეუძლებელია, ამერიკიდან აღამიანი მხოლოდ მუშაობის ერთწლიანი სტაჟის გამო ჩამოვიდეს საქართველოში და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე იცხოვროს! ამდენად, ეს დიდი ტყუილია, რადგან მათი ყოველდღიური სამიწლიანი თანხა გაცილებით აღემატება ნებისმიერი ქართველი პედაგოგის ხელფასს. მათი საქართველოში ჩამობრძანების მთავარი მიზანი კი ისაა, რომ შეცვალონ ჩვენი კულტურა, რელიგია, ფასეულობები. დანერგონ თავიანთი ცხოვრების წესი. ქართველი ბავშვის ფსიქიკა, მენტალიტეტი და ღირებულებები ისე შეიცვლება, რომ მშობელი მასთან საერთო ენას ვეღარ გამოიხატავს. ისინი ერთმანეთს გაუცხოვდებიან, სხვადასხვა სამყაროს წარმომადგენლები იქნებიან და შედეგად მამათა და შვილთა კავშირი სამუდამოდ გაწყდება.

ეს ინფორმაცია სააგენტო “საქინფორმმა” ბავშვებმა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში დაიწყო გლობალიზაციის მეორე ეტაპის განხორციელება. პირველი ეტაპი გახლდათ ის, რომ საქართველო დაცლილიყო ქართველებისაგან, რაც წარმატებით განახორციელეს ნაციონალებმა და მათმა ბელადმა. ამას წინათ გვაუწყეს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან საქართველოში დასამკვიდრებლად ჩამოსვლას აპირებს ბურების ფერმერთა მრავალათასიანი არმია, რომელსაც თურმე “ფერმერული მეურნეობის გაძლიერების დიდი გამოცდილება გააჩნიათ”. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ბურები ჰოლანდიური წარმოშობისაა არიან, ამ მზაკვრობის კვლავაც პრეზიდენტის ოჯახთან მივყავართ... ეს უკვე გლობალიზაციის მეორე ეტაპია, რომელიც ითვალისწინებს ქართველებისაგან დაცლილ საქართველოში უცხო თესლის გაღვივებას.

სწორედ აქ იწყება ჩვენი დაღუპვა! შეუშეთ ხალხს მაცნობარად ბინდულ და “ნაპახმელიარ” თავში, რომ სომეხია მიხილ სააკაშვილი, არა ჩვენი კეთილმოსურნე, არამედ საქართველოსა და ყოველივე ქართულის მოძულე რეაქციონერ სომეხთა შთამომავალი და “ღირსეული” მემკვიდრე, და ამიტომაც, სიამოვნებამოწოლილი ღიმილით ანგრევს საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას, სულიერებას, ზნეობას, მორალს, რელიგიას, კულტურას, განათლებას...

ჩვენ ვერ მოვახერხებთ შეგვეგნებინებინა სააკაშვილისა და მისი გარემოცვისათვის, რომ რევოლუცია ევოლუციის მხოლოდ ერთი ეტაპია და სხვა მეტი არაფერი, რომ თვალთმაქცურად დადგმული სპექტაკლი, რომელსაც “ვარდების რევოლუცია” მოიხსენიებენ, არავის აძლევს იმის უფლებას, რომ მოახდინონ ხელისუფლების უზურპაცია. მაგრამ, ჯერ საკუთარ თავს უნდა დაეკეთოს: ხომ არ გვაკლია სტილისტური მდგრადობა, სულიერი სიმტკიცე და მორალური მოქნილობა იმისათვის, რომ გავეუმკლავდეთ მოძალატულ გარყვნილობას, პროსტიტუციას, ჰომოსექსუალიზმს და ხელისუფლებისაგან თავს მოხვეწულ სხვა პათოლოგიურ თუ ბიოლოგიურ გადახრებს!

ნუთუ მართლა ისეთი “გიჟვრაცუები” და ხეპრები ვართ ქართველები, რომ ჩვენს თავს დატეხილ უბედურებას ვერ ვხედავთ?

რახან ვერ ვხედავთ, მაშინ ახია ჩვენზე ურია შევარდნადის მიერ ქართველთა სულში ჩაფურთხება, რომელმაც ეს მართლაც “მოუშორებელი ჭირი” მოახვია თავს სრულიად საქართველოს!

“ილორი”

### აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

„საქართველო დღემდე ხელს არ აწერს სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულებას, რაც ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის დისკუსიების ეფექტურობას. ცინიკურია ქართული მხარის განცხადება ადამიანის უფლებებზე.“

აფხაზეთი მხარე ყოველთვის ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ქართველ პატიმრებზე და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით მათ ქართველებისთვის გადაცემასაც ახერხებს, მაშინ, როცა საქართველოში საიდუმლო ციხეებში ათობით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქე იმყოფება. საერთაშორისო დამკვირვებლებს, მიუხედავად მათი სიმრავლისა, არ აძლევენ საშუალებას ციხეების მონახულებისა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქმედებები პროვოკაციული და დესტრუქციულია,“ – ნათქვამია აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.



ალექსანდრე ჯაჭია

## ის, რომ სააკაშვილის რეჟიმი უსისხლოდ არ ნაპა, მათ მიერვე შემოგდაბული მითია! ესანი სისხლის დამღვრელები არ არიან!..

აღამიანებს შორის კარგ დამოკიდებულებას ვერაპინ და ვერაფერი შეუძლია ხელს ნათელა ბერიკაშვილი: 3

5 ცნობები საქართველოს ფესახებ

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.

ივანე ჯავახიშვილი ქართველ ერის ისტორია 9



აღამიანებს შორის კარგ დამოკიდებულებას ვერაპინ და ვერაფერი შეუძლია ხელს

„მართალია, ომი ჩვენ დავიწყეთ, მაგრამ ომი ომია და აფხაზეთში ბევრი უდანაშაულო ქართველი დაიღუპა! ეს არ უნდა დაგვავიწყდეს!“

ნათელა პერიკაშვილი:

აფხაზეთის რადიოს ქართული რედაქციის ხელმძღვანელის ნათელა პერიკაშვილის აზრით, ქართულ-აფხაზეთური კონფლიქტი სახალხო დიპლომატიის წყალობით უფრო მალე მოგვარდება, ვიდრე ეს პოლიტიკოსებს წარმოუდგენიათ! ქალბატონი ნათელა განცხადებით იმ პატივისცემის გამო, რაც დღევანდელმა აფხაზეთმა დე ფაქტო მთავრობამ მისი მეუღლის, აწ გარდაცვლილი კომპოზიტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სოსუმის ფილარმონიის დირექტორის მოადგილის მამია პერიკაშვილის მიმართ გამოიჩინა და თბილისიდან მადლობას შეუთვალა მათ.

– ქალბატონო ნათელა, არაერთგზის მსმენია, რომ თქვენს ოჯახს აფხაზეთი განსაკუთრებული პატივით ევსოვობოდა; რა იყო ამ განსაკუთრებული სიყვარულის მიზეზი?

– უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო თქვენს გაზეთს იმისთვის, რომ ამ თემით დაინტერესდით და საშუალებას მაძლევთ, მოვუთხრო მკითხველს, თუ როგორ მოვხვდით 1957 წლიდან მე და მამია აფხაზეთში!

ყველაფერი ასე დაიწყო: აფხაზეთის მაშინდელმა მთავრობამ თბილისიდან ერთი ახალგაზრდა კომპოზიტორი მოითხოვა, რომელიც ხელს შეუწყობდა კულტურის განვითარებას აფხაზეთში! მამია, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, სოსუმში გაემგზავრა...

– წინააღმდეგი რატომ იყავით?

– იმიტომ, რომ იქ არავის ვიცნობდი, არ მყავდა მეგობრები, ნათესავები და ა.შ. მაგრამ, როდესაც მოგვიანებით მეც ჩავვედი, მოვიწყობე იქაურობით, გაცივანი არაჩვეულებრივი ბრივი ინტელიგენცია, არაჩვეულებრივი ხალხი. ვცხოვრობდით ბედნიერად! ჩემი მეუღლე ჩასვლისთანავე ფილარმონიის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს; წერდა სიმღერებს საესტრადო ჯგუფებისთვის, აფხაზეთი და ქართული თეატრისთვის და ძალიან პოპულარულიც გახლდათ. ნებისმიერი პრემიერის (როგორც აფხაზეთში, ისე ქართულ სპექტაკლებისა) შემდეგ მთელი დასი რესტორან „რიწაში“ იკრიბებოდა, სადაც სუფრას არაჩვეულებრივი მოქართულე, დახვეწილი ინტელიგენტი ივანე თარბა თამაშობდა და ირგვლივ „მრავალჯამიერი“ და „ოუ რაიდა, სი ვარაიდა“ ისმოდა!

– თქვენ აზრით, პირველი ბზარი როდის გაჩნდა და შემდეგ რამ განაპირობა ვითარების ისეთი დაძაბვა, რომ ომი გარდაუვალი გახდა?

– გულახდილად ვამბობ: პირველი ბზარი პირადად მაშინ შევნიშნე, როცა ქართველებს იმ თეატრიდან გასვლა მოუწიათ, სადაც აფხაზეთი თეატრიც მუშაობდა! მიზეზად კი იმას ასახელებდნენ, რომ ქართულ დასს უფრო მეტი სპექტაკლი ჰქონდა, მეტი ფული შეჰქონდა თეატრის ბიუჯეტში, დაფინანსება კი აფხაზი მსახიობების ოდენა ჰქონდა! მიზეზად ისიც სახელდებოდა, რომ აფხაზი რეჟისორის პონორარი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქართველი რეჟისორისა. ეს მცირე ნიუანსები, რა თქმა უნდა, „შეგდებულ“ იყო

იმისთვის, რომ სიტუაცია ნელ-ნელა დაძაბულიყო... თუმცა, უფრო ადრე, 70-იან წლებში, სოსუმის ფილარმონიაშიც განვითარდა არასასურველი პროცესი და, როდესაც მაშინდელი კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი ჩამოვიდა სიტუაციაში გასარკვევად, იქ აფხაზეთმა მას და საქართველოს მთავრობას მოსთხოვეს: რადგან ავტონომიური რესპუბლიკა ვართ, უფლება გვაქვს, სიმფონიური ორკესტრი, კაპელა, ოპერა და სხვა კულტურული სტრუქტურები გვექონდეს, რადგან კონსერვატორია დამთავრებული ჩვენი კადრები დასაქმდნენო. გაგიკვირდებათ, მაგრამ თაქთაქიშვილმა მაშინ აფხაზეთს სრულიად სამართლიან მოთხოვნაზე უარი განუცხადა! ვერ გადმოგცემთ, რა ამბავი ატყდა დარბაზში! თაქთაქიშვილი დარბაზიდან (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ძლივს გაიტანეს! სხვათაშორის, ჩემმა მეუღლემ ბატონ ოთარს ამ ფაქტისა და უარისთვის უსაყველურა. ამის გამო თაქთაქიშვილი მამიას გადაეკიდა და, სანამ კულტურის მინისტრი იყო, გასაქანს არ აძლევდა! ჩემი მეუღლე კი იმ დროს თბილისში არ ჩამოდიოდა...

– აფხაზეთს მოგვიანებით ხომ ჰქონდათ კაპელაც და სიმფონიური ორკესტრიც?

– დიახ, ჰქონდათ, „ნება დართო“ საქართველოს მთავრობამ; განა არ ჯობდა, ეს ყოველგვარი დაძაბულობისა და უსიმღონების გარეშე მომხდარიყო? თანდათან რატომ ვძაბავდით სიტუაციას? არ ვამბობ, რომ აფხაზეთი უცოდველები იყვნენ. რასაკვირველია, მათ შორისაც იყვნენ მოუქსტრემისტო ელემენტები, მაგრამ შენ, ქართველო, როცა იცი, რომ ვიღაც ამ პროვოკაციებს ხელოვნურად გიწვობს და გახელებს, რატომ წამოგები ხოლმე? მე სულ ვამტკიცებდი – ის, რაც ცხინვალში მოხდა, სოსუმში არასოდეს მოხდება მეტი, მაგრამ მაინც მოახდინეს.

– ომი რომ დაიწყო, ბევრი ქართველივით თქვენც გაგვიხარდა?

– მე და მამია ჩვენს ეზოში ვიდევით, სოსუმში ტანკები რომ „შემოგრიადდნენ“... „მი პოგიბლი ნატელოჩკა“, – მითხრა მამიამ, – „ჩვენ აფხაზეთს დაგვარგავთ!“ სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა.

– 1978 წლიდან დღითიდღე უფრო მძაფრდებოდა აფხაზეთის მოთხოვნები. საინტერესოა, თქვენს სამსახურში, ანუ აფხაზეთ რადიოში თანამშრომელთა მხრიდან თუ გრძნობდით რაიმე უკმაყოფილებას და დღეს თუ გაქვთ მათთან ურთიერთობა?

– არავითარი დაპირისპირება არ მქონია აფხაზეთთან! პირიქით, ყოველთვის თბილად და პატივისცემით მეპყრობოდნენ და დღესაც ასეა. 1978 წელს, როცა აფხაზეთმა რუსეთთან შეერთება პირველად მოითხოვეს, თბილისიდან სოსუმში ჩამოვიდა ვეფორე შევარდნაძე, ხოლო მოსკოვიდან – კაპიტონოვი. მაშინ კაპიტონოვმა განაცხადა: „არავითარი შემოერთება არ მოხდება!“ ლენინის სახელობის მოედანი გადაჭედებული იყო ხალხით... ამ სიტყვებზე დაინგრა იქაურობა, ისეთი ამბავი ატყდა, შევარდნაძეს მეგაფონები და მიკროფონები ჩამოუყარეს და სიტყვის თქმის საშუალება არ მისცეს... ძლივს გაიყვანეს უვნებელი იმ ტერიტორიიდან... მაგრამ ამ ისტორიაში მთავარი ის იყო, რომ არც ერთმა რედაქციამ კაპიტონოვის სიტყვები არ გადასცა მოსახლეობას. ეს ამბავი ქართული რედაქციიდან პირველმა მე წავიკითხე ეთერში! რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჩემი საშუალო „კაბინა“ გარედან ჩაკეტეს და არ ვიცი, რა დამემართებოდა, რომ არა ჩვენი აფხაზი თავმჯდომარე ფარცხია, რომელმაც იმ დღეს გადაამარინა. ომის დროს ჩემს აფხაზ მეზობლებს თუ თანამშრომლებს, რომლებიც შიშისგან ქუჩაში ვერ გამოდიოდნენ, შიმშილით რომ არ მომკვდარიყვნენ, მე ვაწვდიდი პურსა და პროდუქტებს! რამდენიმე მათგანს სოსუმიდან გულაუთაში უნებლად გადასვლაშიც დაგვებარე!

ომის განმავლობაში, მამიას შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, იქიდან წამოსვლა არც ვეფიქრია... შეილება – მამუკამ და ლევანმა თავიდანვე განაცხადეს, ჩვენ აფხაზეთს ვერ ვვსვრითო და არც უსვრიათ, თბილისში წამოვიდნენ! მარტში მამია გარდაიცვალა. საკვირველი ის იყო, რომ აფხაზეთმა ტელევიზიამ, რომელიც იმ-

ხანადა გულაუთიდან მაუწყებლობდა, ჩვენი ოჯახის მწუხარებას საკმაო საეთერო დრო დაუთმო და მამიას შესახებ ძალიან თბილი სიუჟეტი გააკეთა! ახლა მე გეკითხებით: რა ესოუქმებოდა და რატომ გააკეთა ეს მაშინ აფხაზეთში, როცა გაგანია ომი იყო?

მე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აფხაზეთის ტელევიზიის დირექტორს – რუსლან ხაშიგს მამიას დაფასებისთვის; ასევე მადლობა ანჭვას კი – იმისთვის, რომ მოსკოვში გამოშვებულ აფხაზეთი საესტრადო მელოდიების კომპაქტ-დისკებში მან ჩემი მეუღლის ორი სიმღერაც შეიტანა!

– რამდენადაც ვიცი, ბატონი მამიას მიერ შექმნილი ერთ-ერთი მელოდია დღეს აფხაზეთის ჰიმნია. მართალია ეს?

– არ მომისმენია აფხაზეთის ჰიმნი, მაგრამ ასე ამბობენ... მე ერთი რამ ვიცი, რომ აფხაზეთმა გამოუშვეს ენციკლოპედია და კომპოზიტორი მამია პერიკაშვილი, როგორც აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ამ ენციკლოპედიაში შეიყვანეს!

– ბატონი მამია სოსუმშია დაკრძალული?

– არა, თბილისში... როცა მისი მდგომარეობა ძალიან დაძაბდა, აქვე წამოვიყვანეთ... გაგიკვირდებათ: როცა ცუდად იყო, მისი აფხაზი მეგობრები ინტენსიურად მოდიოდნენ ჩვენთან, ამხნელებდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად მატერიალურადაც გვეხმარებოდნენ; აღარაფერს ვამბობ პროდუქტებზე, უხვად რომ მოჰქონდათ! აი, ასეთი ურთიერთობა გვექონდა ჩვენ მათთან და, შესაძლოა, დღესაც (როცა ასეთი დაძაბულობა) ამიტომ ვურთიერთობთ პატივისცემითა და სითბოთი! ჩემი მეგობრები მეუბნებიან: „ნატელოჩკა, სოსუმში უკმაყოფილო უნდა ჩამოხვიდეო“, მაგრამ როგორ? ამაზე პასუხი არ აქვთ! რომ იცოდეთ, როგორ მინდა იქ ჩასვლა, თვალის გადავლება ჩემი სახლისთვის, მეგობრების მონახულება... ნუთუ მართლა ვეღარასოდეს ჩავალ სოსუმში, სადაც ხელახლა სულ სხვა ფერი აქვს? სულ ცოტა ხნის წინ აბ, თბილისში, აფხაზეთის დამსახურებული მოღვაწე, მოცემკვამ ბივი ჩახაზა ბარდაცვალა. უნდა ბნანახათ, რაოღონ დიდი იყო ჰირსოვნობისა და სამამიარზე მისული საზოგადოების ბაჰირიზება, როცა სოსუმშია პანდიო თარბამ ღარმა და ოჯახს მიუხამიძრა! აღამიანებს შორის კარგ დამოკიდებულებას ვერაფერი და ვერაფერი შეუძლია ხელს. მიმანია, რომ ასეთი ფაქტების პირობებში სახალხო დიპლომატიამ თავისი ხმადადლი სიტყვა უნდა თქვას! იცით, როგორ მინდა ამ ურთიერთობების აღდგენაში ჩავერთო და ჩემი სიტყვა ვთქვა? „მართალია, ომი ჩვენ დავიწყეთ, მაგრამ ომი ომია და აფხაზეთში ბევრი უდანაშაულო ქართველი დაიღუპა! ეს არ უნდა დაგვავიწყდეს!“ მაგრამ უნდა გვახსოვდეს არა როგორც სამაგიეროს გადახდისა და რევანშის აღების ინსტრუმენტი, არამედ როგორც იმის შთავონება, რომ ძმათა შორის სისხლისღვრა ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაულია...


– როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ხელისუფლებას შესწევს უნარი აფხაზეთ-ქართული ურთიერთობების აღდგენისა?

– ჩემი აზრით, რისი უნარიც შესწევდათ, ის უკვე გააკეთეს! სამწუხაროდ, მათი უგუნური პოლიტიკა თანდათან უფრო გვაშორებს აფხაზეთსა და აფხაზეთს...

– ქალბატონო ნათელა, როგორ ფიქრობთ, აფხაზეთი სამუდამოდ დაგვარდება?

– მომკალით და მჯერა, რომ სოსუმში აუცილებლად დაგვრუნდებათ! ძნელად, რთულად გასავლელი გზით, მაგრამ მაინც დაებრუნდებით, რადგან ჩვენ აფხაზი ერი მტრად არ მიგვაჩნია და, საბედნიეროდ, სადაც მოაზროვნე აფხაზეთსაც ასე ჰგონიათ. მე მოწიწებით ვინახავ საოჯახო არქივში, 70-იან წლებში გადაღებულ ერთ ფოტოს, რომელზეც ჩემი მეუღლე მამია პერიკაშვილი, აფხაზი კომპოზიტორი კონსტანტინე ჩენგელია და კომპოზიტორი რადენ გუმბა საქართველოს სადღეგრძელოს სვამენ! ეს ჩვენი ერთობლივი ისტორიაა, რომლის დაფიქრებაც მომავალი თაობები არ გვაპატიებენ!

ესაუბრა ირინე გობოცაშვილი



მდინარე აბაშისწყალში დინოზავრის ჩონჩხის ნაწილები იკრძნება

ჩვენ ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ მდინარე აბაშისწყლის აუზში აღმოჩნდა დინოზავრის ნაკვალევი, ახლა კი აბაშის წყალს მიენიჭა დაცული ტერიტორიის სტატუსი, რადგან იქ მეცნიერებმა აღმოაჩინეს ქვაში ჩაკირული დინოზავრის ჩონჩხის ნაწილები.

ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევის შედეგად, აბაშისწყლის ხეობაში დინოზავრის მრავალი ნაკვალევი და ჩონჩხის ძვლები აღმოჩნდა.

მეცნიერთა ვარაუდით, ნაკვალევი 75 მილიონი წლისაა და ზედა ცარცულ პერიოდს განეკუთვნება, ამასთან, ნაკვალევი დინოზავრის ორ სახელობას – მოზოზავრსა და ისტიოზავრს ეკუთვნის. ერთ ტერიტორიაზე თავმოყრილი ამ რაოდენობის ნაკვალევი და ძვლის ფრაგმენტები კავკასიაში დღემდე არსად აღმოუჩენიათ.

მარტვილის სამეცნიერო მნიშვნელობისა და ტურისტული პოტენციალის დასადგენად დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი შოვნაძე და ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მეცნიერთა ჯგუფთან ერთად აღმოჩენის ადგილზე იმყოფებიან და შესაბამის სამუშაოებს ატარებენ.

ხელისუფლებას უზბოდიის მასშორითარი დეპუტატი არასაიმედო პიროვნებად მიანჩნია

საქართველოს 2004-2008 წლის მოწვევის პარლამენტის ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა გონა ფიფიამ 2003 წელს ზუგდიდელს მშენებელი საჩუქარი მიუძღვნა. ზუგდიდის დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმისა და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, რომელიც ნაგავსაყრელად იყო გადაქცეული, ააშენა ღია ამფითეატრი „თეატრონი“ 300 დასაჯდომი ადგილითა და სცენით, სადაც მრავალი სხვადასხვა ღონისძიება ტარდებოდა.

გონა ფიფიამ, რომელსაც „თეატრონი“-ს მშენებლობა 300.000 ლარი დაუჯდა, იგი საჩუქრად გადასცა ზუგდიდის დადიანების მუზეუმს.

ახლა, როცა მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიები მოვლილია, ის მონაკვეთი, სადაც „თეატრონი“ მდებარეობს, გავერანებული და განანაგებულია, სარეველა მცენარეებითაა დაფარული, აყრილია სცენა და სკამები, ჩამოსწილია კარები. რატომღაც არავინ ზრუნავს ამ მონაკვეთზე. იმიტომ ხომ არა, რომ გონა ფიფია ამ ხელისუფლებისათვის არაკეთილმოსურნე პიროვნებად მიიჩნევა? თუმცა, გავრცელებული ვერსიით, „თეატრონის“ ტერიტორია აუქციონის წესით ორიოდე წლის წინათ ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მაღალჩინოსანს აქვს შესყიდული და თუ ეს ასეა, კეთილმოაწყოს მაინც ახალმა მუშაკრებმა.

სააბენტო „საძინოვრომი“



სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო

მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი



სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სსრკ სამხედრო-საზღვაო ძალების სახალხო კომისიის ქმედებათა ანალიზი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ არმიამ და ფლოტმა სამხედრო მზადყოფნაში მოსვლის თაობაზე სტალინის ბრძანება მიიღეს ერთდროულად – სადაც 19 ივნისს. მაგრამ, აი, შესრულდა თუ არა იგი დროულად თუნდაც სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარ აღმირალ კუზნეცოვის მიერ? მით უმეტეს, სსრკ თავდაცვის სახალხო კომისიის მარშალ ტიმოშენკოს და გენერალური შტაბის უფროსის არმიის გენერალ ჟუკოვის მიერ?

მაგრამ, როცა 21 ივნისს იოსებ სტალინი კიდევ ერთხელ მისცა შეიარაღებულ ძალებს შესაბამისი სანქცია ქვედანაყოფების სრულ სამხედრო მზადყოფნაში მოსვლის შესახებ, კუზნეცოვმა ეს ბრძანება დროულად გადასცა ფლოტებს და №1 სამხედრო მზადყოფნაში მოიყვანა ისინი, არმიელები კი კვლავ “ზოზინებდნენ”.

კიდევ ერთხელ ვისხენებთ რა გენერალ სულაჰატოვს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ 1941 წლის 20 ივნისს მისი ძველმა თანამებრძოლმა გენერალმა ვიტინგონმა აცნობა სულაჰატოვს, რომ მასზე არაკეთილსასურველი გავლენა მოახდინა დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდალთან, გენერალ პავლოვთან საუბარმა – ვიტინგონის ძველ ნაცნობთან ჯერ კიდევ ესაზღვრებიდან. დაურეკა რა პავლოვს, ვიტინგონი მეგობრულად დაინტერესდა, თუ სარდალს რომელი სასაზღვრო რაიონებისათვის უნდა მიექცია განსაკუთრებული ყურადღება ომის დაწყების შემთხვევაში. მაგრამ, პავლოვმა მას “სრულიად გაუაზრებელი” პასუხი გასცა. იგი თქვია, რომ “არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, თუ ბრძოლების დასაწყისში მტერი გარკვეულ უპირატესობას მიაპოვებს, რადგან მას გააჩნია საკმაოდ სამყოფი რეზერვი მოწოდებით მტრის შეტევების მოსაგერიებლად...”

გრივადი გარპოჟაქის ტიპის მთხვევლები ლაფს ასხამენ ბერიას სახელს, მაგრამ, როგორც მტკიცდება, შეგნებულად ვერ ამჩნევდნენ “ბერიას თვითნებობის უდანაშაულო მსხვერპლის” გენერალ პავლოვის უაზრობასა და უსუსურობას.

მაგრამ, იყო კი ამგვარი საქციელი მხოლოდ “უაზრობა და უსუსურობა”? ხომ არ გვაქვს სახეზე ტუხაჩევსკი-უბორევიჩის შეთქმულების ლოკური გავრცელების მცდელობასთან? ბოლოს და ბოლოს, რატომ დაიწყო პიტლერმა შეტევები ბელორუსიის მხრიდან, როცა მას, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მხოლოდ უკრაინა სჭირდებოდა? დიდი სამხედრო ძალებით უკრაინის ოკუპაცია მას დიდ საშუალებებს უჩენდა. პიტლერმა კი დარტყმა განახორციელა პინკის ჭაობების მხრიდან... იმიტომ ხომ არა, რომ მოლაპტევების წყალობით გერმანელებს იოლად დაეძლიათ დაქსაქსული და დემორალიზებული საბჭოთა ჯარების წინააღმდეგობა?

მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დაწერე, მე შეეხვდი ჩემს მეგობარსა და კოლეგას, ბელორუს ანატოლი ნიკოლოზის ძე პოკალოს... იგი იხსენებდა, თუ მის თანასოფელელებს, რომლებიც 1941 წელს უკვე ზრდასრული ემაწვილები იყვნენ, აფრთხილებდნენ, რომ კვირას “დაიწყება მანევრები” და თვითმფრინავებიდან გადმოყრიდნენ ცეცხლწაიკვებულ მახუთით სავსე

კასრებს. ხოლო ბრესტის ოლქის პრუჟანსკის რაიონის სოფელ კუპლინთან განთავსებულ აეროდრომზე საბრძოლო თვითმფრინავებს მოხსნეს ტყვიამფრქვევები და შეიარაღებულად დატოვეს მხოლოდ სამორიგეო რგოლის სამი თვითმფრინავი.

ვინ აფრთხილებდა ასეთი მონდომებით ხალხს “მანევრებს” ჩატარების თაობაზე? ვისი ბრძანებით მოიხსნა თვითმფრინავებიდან ტყვიამფრქვევები?

პრუჟანსკში მოკრძალებულად დგას 33-ე საავიაციო გამანადგურებელი პოლკის ავიაციკადრის მეთაურის მოადგილის უფროსი ლეიტენანტის სტეფანე მიტროფანეს ძე გუდიმოვის ძეგლი. მან საპაერო ტარანი შეასრულა 1941 წლის 22 ივნისს, დილის 5 საათსა და 20 წუთზე. იმიტომ ხომ არ წავიდა გუდიმოვი ტარანზე, რომ მას აფრენისას თვითმფრინავის ბორტზე არ ჰქონდა არც იარაღი და არც ტყვიაწამალი?

უბრალო ხალხი – ეს უბრალო ხალხია. მათ არაფრად სჭირდებათ ისტორიის ფალსიფიცირება. ამგვარი ფაქტების სიუხვით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ომის დაწყების დღეებში დასავლეთის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქში გენერალ პავლოვისთანა უსუსურებიც ბლომად იყვნენ და მოლაპტევებიც.

სიტუციისათვის – ვის ჰქონდა მასინ შედარებით სრულყოფილი ინფორმაცია ქვეყნის საზღვრებთან შექმნილ ურთულეს მდგომარეობაზე? მოსკოვში ამგვარი ადამიანების წრე საკმაოდ შეზღუდული გახლდათ – სტალინი და მისი გარემოცვის ვიწრო წრე (ბერიასა და მოლოტოვის ჩათვლით), და მეტად მცირე რაოდენობა იმ სამხედროებისა, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული საომარ მოვლენებთან.

არც სამი განსაკუთრებული საგანგებო სამხედრო ოლქების პირველი პირები, რომლებიც დიდი სამამულო ომის დაწყებამდე სრულად იყვნენ საქმის კურსში, წარმოადგენდნენ საკმაოდ დიდ ძალას. აი, ისინიც:

**ბალტიისპირეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქი:** სარდალი ფ.ი. კუზნეცოვი; უკვე ჩვენს მიერ აღმოჩენილ “დიდი სამამულო ომის ისტორიის” პირველ ტომში შტაბის უფროსი მოხსენიებული არ არის; სამხედრო საბჭოს წევრი პ.ა. დიბროვი. მე-8 არმიის სარდალი პ.პ. სობენნიკოვი და მე-11 არმიის სარდალი ვ.ი. მოროზოვი.

1941 წლის 30 ივნისს სამხედრო ოლქის სარდალი ფ.ი. კუზნეცოვი მოიხსნა დაკავებული თანამდებობიდან და არც შემდეგ ბრძოლებში გამოუჩენია დიდად თავი. მაგრამ, არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ მომავალი ომისათვის იგი ასე თუ ისე მაინც ემზადებოდა.

შტაბის უფროსი, 1892 წელს დაბადებული გენერალ-ლეიტენანტი პ.ს. კლიონოვი, რომელიც არ გახლავთ მოხსენიებული 1961 წელს გამოცემულ “დიდი სამამულო ომის ისტორიის” პირველ ტომში, 1941 წლის ივლისში დაიხვეწილ იქნა საბჭოთა არმიის რიგებიდან. მისი სიკვდილის თარიღია 1941 წლის 10 ივლისი.

სამხედრო საბჭოს წევრს დიბროვის ომის დროს ეკავა უმნიშვნელო თანამდებობები.

მე-8 არმიის სარდალ სობენნიკოს საკმაოდ საეჭვო სამხედრო ბედი უბოძა გამჩენმა. იგი პოლკოვნიკის ჩინამდე დააქვეითეს, პირობით იქნა გასამართლებული. არც მე-11 არმიის სარდალი მოროზოვი ომობდა დიდი წარმატებით.

**დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქი:** სარდალი დ.გ. პავლოვი; შტაბის უფროსი ვ.ე. კლიმოვსკისი; სამხედრო საბჭოს წევრი ა.ი. ფომინისი; არმიათა სარდალები: მე-3 არმიისა – ვ.ი. კუზნეცოვი, მე-10 არმიისა – კ.დ. გოლუბევი, მე-4 არმიისა – ა.ა. კორობკოვი.

უფროსი კლიმოვსკი დახვრიტეს 1941 წელს. სამხედრო საბჭოს წევრი ფომინისი ომის დაწყების შემდეგ უიმედოდ დააქვეითეს.

მესამე არმიის მეთაური კუზნეცოვი თავდადებით იბრძოდა და საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. მე-10 არმიის სარდალმა გოლუბევი 1941 წელს თავი დააღწია მტრის გარემოცვას და ბრძოლები გააგრძელა. მე-4 არმიის სარდალი კორობკოვი დახვრიტეს 1941 წელს.

**კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქი:** სარდალი მ.პ. კირპონოსი; შტაბის უფროსი მ.ა. პურკაევი; სამხედრო საბჭოს წევრი ნ.ი. ვაშუკინი; მე-5 არმიის სარდალი მ.ი. პოტაპოვი, მე-9 არმიის სარდალი ი.ნ. მუხინენკო, 26-ე არმიის სარდალი ფ.ი. კოსტენკო და მე-12 არმიის სარდალი პ.ე. პონედელინი.

**ოლქის სარდალი კირპონოსი დაიღუპა 1941 წლის შემოდგომაზე.**

შტაბის უფროსი პურკაევი, რომელსაც წრესგადასულად აქებდა ჟუკოვი, 1943 წლის აპრილიდან გადაყვანილი იქნა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქში, რომელიც ბრძოლებში არ მონაწილეობდა.

სამხედრო საბჭოს წევრმა ვაშუკინმა 1941 წლის 28 ივნისს თავი მოიკლა.

არმიის სარდალი პოტაპოვი 1941 წლის ზაფხულში ტყვედ ჩავარდა, სამშობლოში დაბრუნდა 1945 წელს, გაიარა სპეცშემოქმედა სსრკ შინსახკომში და 1945 წლის დეკემბერში აღდგენილ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში.

მე-9 არმიის სარდალი მუხინენკო 1941 წლის ზაფხულში ტყვედ ჩავარდა, სამშობლოში დაბრუნდა 1945 წელს, გაიარა სპეცშემოქმედა სსრკ შინსახკომში და 1945 წლის დეკემბერში აღდგენილ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში.

არმიის სარდალი კოსტენკო დაიღუპა 1942 წლის ზაფხულზე.

მე-12 არმიის სარდალი პონედელინი 1941 წლის ზაფხულში დაიღუპა ტყვედ და მასინე დაუსწრებლად მიესაჯა სიკვდილი, 1945 წელს დააბრუნეს სამშობლოში, გამოძიების შემდეგ, რომელიც გაგრძელდა 1950 წლამდე, იგი დახვრიტეს.

ასე რომ, იმის ცოცხალი დამსწრეები, თუ რა ხდებოდა ფრონტის საზღვრებში, უკვე ომის დამთავრების შემდეგაც კი აღარ იყვნენ. ასე რომ, იმის დადგენა, თუ რა ხდებოდა სამხედრო ოლქებში 1941 წლის 18 ივნისის შემდეგ, დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვმა და ვოლკოგონოვმა სასტიკად დაარბიეს სახელმწიფო არქივი.

ვფიქრობ, ჩემს მიერ მოყვანილი სია კიდევ უფრო აღიერებს ამ ეჭვს.

და როდორ შეხვედრე ომს ბერიას მესაზღვრეები? რა გაეწეოდა, მოდით, ამ შეკითხვას პასუხი გასცეს ა.ი. ჩუგუნოვი, რომლის ავტორობითაც 1989 წელს სამხედრო გამომცემლობის მიერ დასტავმა მონოგრაფია “საზღვარი იბრძვის”.

**“ომის დაწყების წინა დამე დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის სასაზღვრო მონაკვეთებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ უკვე აღარ იყო მშვიდობიანი. 21 ივნისის საღამოს ბევრმა სასაზღვრო ქვედანაყოფმა და მათმა მეთაურებმა დატოვეს ყაზარმები და დაცვით სავსე პოზიციებთან დაიკავეს ადგილი, რომელიც წინასწარ იყო მომზადებული მოსალოდნელი საომარი მოქმედებებისათვის”.**

აქ კი სხვა შეკითხვა უნდა დავსვათ: **“ვინ გასცა განკარგულება სასაზღვრო ნაწილების მეთაურებს?”** და რას ნიშნავს სიტყვა “ბევრმა”?

რა გამოდის – რომელიმე მეთაურმა ჯარისკაცებს უთხრა: **“ნახეთ ბიჭებო, რა შესანიშნავი საღამოა, როგორაა ცა მოჭედილი ვარსკვლავებით. წამოდით, სანგრებში ჩავსხდეთ და იქიდან ვუშვიროთ ვარსკვლავებს, საიდანაც ისინი შესანიშნავად მოხსანან”.** სხვა ოფიცრებმა კი, იმის მომიზეხებით, რომ ღრუბლიანი საღამო იყო და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა არ

მოხანდა, ამიტომ არ გაიყვანეს ჯარისკაცები სანგრებში?

არა, ისეთი სერიოზული ბრძანება, როგორცაა დაცვითი სავსე ცხელ პოზიციების გამაგრება, შეიძლებოდა მხოლოდ მოსკოვიდან წამოსულიყო. და ამ ბრძანების გაცემა შეეძლო მხოლოდ სახალხო კომისარს. ესე იგი – ლავრენტ პავლეს ძე ბერიას. და რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის საზღვრის მთელ დასავლეთ მონაკვეთზე!

მართალია, ვხვდებით ცნობებს იმის თაობაზე, რომ მესაზღვრეებს არასოდეს ეკრძალებოდათ სავსე ცხელ პოზიციების დაკავება. თუნდაც ასე იყოს! მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ამ ინიციატივის ავტორი (სიტუაციის მიხედვით მოქმედების დაწყების ინიციატორი), თუ არა სახალხო კომისარი ბერია? და შეეძლო კი მას მესაზღვრეებისათვის ამგვარი “**კარტ-ბლანში**” მიცემა სტალინის სათანადო ნებართვის გარეშე? და შეეძლო კი სტალინის შემოფარგულიყო მხოლოდ სასაზღვრო ჯარებით და მხედველობის მიღმა დარჩენოდა საბჭოთა მუშურ-გლეხური წითელი არმია სამხედრო-საზღვაო ფლოტი? მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ამ დროისათვის სიცოცხლე და აქტიურობა მხოლოდ სასაზღვრო ჯარებში შეინიშნებოდა?

ასე რომ, ა. ჩუგუნოვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სტალინი კარგად იცოდა, რომ მალე ომი დაიწყებოდა და სხვებმაც კარგად იცოდნენ. მაგრამ, ვიღაცეები ამას მომზადებული ხვდებოდნენ, ვიღაცეები კი, რატომღაც – თითოსაც არ ატოვებდნენ.

სხვათა შორის, ჩვენთვის ცნობილი მესაზღვრე-გენერალი სეჩინი ამტკიცებს საპირისპიროს: **“საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარებს არავითარი განკარგულება არ მიუღიათ სავსე ცხელ პოზიციების დაკავების თაობაზე მაშინაც კი, როცა 22 ივნისს 22 საათზე გენერალურმა შტაბმა დასავლეთის სასაზღვრო ოლქებს გაუგზავნა ბრძანება საზღვრის ჩაკეტვის გეგმის მოქმედებაში მოსაყვანად”.**

მაგრამ არა, ძვირფასო მკითხველო! სეჩინის მონათხრობს უნდა ვენდოთ მხოლოდ ალაგ-ალაგ. თუ იგი, მისდა უნებლიედ ასახავს სიტუაციას სტალინისა და ბერიას სასარგებლოდ, თუნდაც მათი სახელების დაკონკრეტების გარეშე, მის სიტყვებს უნდა ვენდოთ, სხვა შემთხვევაში კი – არა!

არაფერს ვამბობ იმ ანტიბერიასკული ფალსიფიკაციის გავრცელებაზე, რომელიც თითქოს დათარიღებულია 1941 წლის 21 ივნისით – ეს **“ფაქტები”** მთლად სეჩინის შეთხზულია, რომელსაც, სამწუხაროდ, საკმაოდ ჰქონდა მოძალბებული მუცლით-მეზღაპროების მუხა. მაგალითად, **“დემოკრატისტორიის”** ვ. ანფილოვზე დაყრდნობით მან შექმნა ვრცელი ნაწარმოები, რომელიც შემდეგ მისგან არაერთხელ გადაიწერეს ანტისტალინისა და ანტიბერიას თემაზე აქტიურად მომუშავე მითოლოგმა-შემოქმედებამ.

ანფილოვი და სეჩინი ამტკიცებენ, რომ **“სამხედრო მომზადების სამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა კურდიუმოვმა”** “1940 წლის დეკემბერში გამართულ თათბირზე” თქვა: **“ქვეითთა უკანასკნელი საინსპექტორო შემოწმება ცხადყოფს, რომ შეკრებაში მონაწილე პოლკის 225 მეთაურიდან მხოლოდ 25-ს აქვს დამთავრებული სამხედრო სასწავლებელი. დანარჩენმა 200 ადამიანმა დაამთავრეს უმცროსი ლეიტენანტობის კურსები და გამოძახებული არიან თადარიგიდან”.**

ამ სენსაციურ ფაქტს დიდი განმარტება არ სჭირდება: **“აი, თქვენ, სტალინისა და ბერიას მიერ მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში ჩატარებული რეპრესიების შედეგი”.** მაგრამ ეს ფაქტი აშკარად არ შეეფერება სინამდვილეს, ესე იგი, წმინდა წყლის სიცრუეა!

გაგრძელება იქნება

# სნობები საქართველოს ფესვებში

ეგვიპტელი აგრონომის შიპაბ ად-დინ ბუ-აბას ამჟამად იბნ ალი ალ-კალაშანდის (1353-1418 წწ.) ლიტერატურული თხზულება „სუბჰ ალ-აშა ფი სინაათ ალ-ინშა“ გვაწვდის საინტერესო ცნობებს საქართველოს შესახებ. თხზულებაში დამოწმებული დიპლომატიური მიმოწერის მასალებს, რომელთაც აგრონომი გვაცნობს საარქივო დოკუმენტებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ეგვიპტის ურთიერთობის შესწავლისათვის. მასში დაცულია ფორმულები, რომლებიც ეგვიპტის სულთნები მიმართავდნენ ქართველ მმართველებს. არანაკლებ საინტერესოა ეს თხზულება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, კულტურის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

**ოკეანიდან გამომდინარე ზღვები, რომლებიც არ უერთდებიან ოკეანეს ნიტიშის ზღვა** (შავი ზღვის ერთ-ერთი სახელწოდება). ის ჩვენს დროში ცნობილია ყირიმის ზღვის სახელით, რადგან მის ნაპირზე ყირიმის ქვეყანა მდებარეობს. ცნობილია, აგრეთვე, **არმანის ზღვა**, რადგან მის ერთ-ერთ ნაპირზე მდებარეობს ნაწილი არმენიის ქვეყნისა. ხშირად იხსენიებენ **შავ ზღვადაც**. იგი უერთდება **რუმის ზღვას** (ხმელთაშუა ზღვა) ჩრდილოეთის მხრიდან. მასში შედის მეორე ზღვა, **მინიტიში** (ახოვის ზღვა). პირველ სახელწოდებას თავში მაცემტება. იგი ჩვენთვის ცნობილია **ახაკის ზღვად**, რადგან მის აღმოსავლეთ ნაპირზე ახაკის ქვეყანა მდებარეობს. მას სხვა ზღვა არ უკავშირდება, ამის გამო ზოგიერთი უწოდებს ამ ზღვას **მინიტიშის ტბას**. ის უერთდება ნიტიშის ზღვას, ნიტიშის ზღვა კი რუმის ზღვას. ეს აჩქარებს გემების სვლას ყირიმის რუმის ზღვისაკენ და ანელებს სვლას რუმის ზღვიდან ყირიმის მიმართულებით, რადგან ხელება წყლის საწინააღმდეგოდ დინებას. ნიტიშის ზღვა იწყება კონსტანტინოპოლის ყურით და ესაზღვრება რუმის ზღვას, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ რუმის ზღვის აღწერის დროს. ის იმდენად ვიწრო ყურეა, რომ ადამიანი მეორეს მოპირდაპირე მხრიდან დაინახავს. იბნ საიდი გადმოგვცემს, რომ ამ ყურის სიგრძე დაახლოებით 50 მილია. **„თაკვიმ ალ-ბულდანი“** იმ მიხედვით, მისი სიგრძე 70 მილია და უერთდება რუმის ზღვას ჩრდილოეთის მხრიდან. მიემართება რუმის ზღვიდან ჩრდილოეთით რუმის ქვეყნის სანაპიროსკენ, აღმოსავლეთით ჯარუნის კოშკისაკენ. ეს არის დანგრეული ციხე, რომელიც მდებარეობს ამ ყურის ნაპირზე, კონსტანტინოპოლის პირდაპირ. ის მიემართება ჯარუნის ჩრდილოეთით ერთ მილზე მარცხნივ, აღმოსავლეთით ქალაქ ქარბისაკენ, რომელიც კონსტანტინოპოლის ყურეში მდებარეობს, მოხსენიებულია ჯარუნის მახლობლად. შემდეგ მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალაქ ქათარუსაკენ. ქათარუს კონსტანტინოპოლიდან ბოლო ქალაქია, რომელიც ამ სანაპიროზე მდებარეობს. შემდეგ ქალაქ ქინულისაკენ, რომელიც მდებარეობს კონსტანტინოპოლის ყურეზე დასავლეთის მხრიდან არის ზღვაში შესასვლელი. ამ შესასვლელთან რუმის სანაპიროდან არის ვიწრო პორტი (სინუბი). შემდეგ არის ქალაქი სამსუნი. ეს ქალაქი მდებარეობს რუმის სანაპიროზე, აღმოსავლეთით ქალაქი ტრაბიზუნია, მისგან აღმოსავლეთით, ერთი მილის მანძილზე, სამი დღის სავალზე მდებარეობს ქალაქი სუსუმი, ტრაბიზუნია ჩრდილო-აღმოსავლეთით. სუსუმსა და ქურჯთა ქვეყანას შორის ერთი დღის სავალია. ამბობენ, ის **ქურჯთა** (ქართველთა) ქვეყნის ნაწილია. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ქალაქი **აბხანი** (აქ ანაჟოფის ციხე-ქალაქი ივლისხმეობა, VIII ს. ბოლოს აფხაზეთის დედაქალაქი გახდა), რომელიც ზღვის სანაპიროსთან, სუსუმთან ახლოს მთაზე მდებარეობს. შემდეგ ზღვა ვიწროვდება დასავლეთით, უახლოვდება მეორე ნაპირს და მათ შორის წყალი ისე მიედინება, როგორც ყურეში. ის არის მანიტიშის ზღვის შესართავი ნიტიშის ზღვასთან. ამ ყურის ნაპირზე მდებარეობს ქალაქი ტამანი.

**თაფლისა (თბილისი)**  
**„ღუბაბ“-ის** (განწმენდილი) მიხედვით, მდებარეობს შიდა ოკეანიდან (კლიმატიდან) მეფეთეში. **„პანუნ“-ში** (მასუდის ტაბულები ასტრონომიისა და ვარსკვლავების შესახებ) წარმოდგენილია ქურჯისთანის დედაქალაქად. **„ღუბაბ“-ში** გადმოცემულია, რომ

იგი უკანსკელი ქალაქია აზერბაიჯანიდან. იბნ ჰაუკალის (არაბი ისტორიკოსი XI ს.) ცნობით, ეს ქალაქი გარშემორტყმულია ორი გალავნით და აქვს სამი კარი. ქალაქში არის აბანოები, მზავის ტაბარის აბანოებისა, რომლის წყალი ამოდის ცხლად ცეცხლის გარეშე. თბილისი ძალიან ნაყოფიერია. იბნ საიდი (არაბი აგრონომი) მოგვითხრობს, რომ იგი დაიპყრეს მუსლიმებმა და ცხოვრობდნენ იქ კარგა ხნის განმავლობაში. შემდეგ ეს ქალაქი უკან დაიბრუნეს გურჯებმა, რომლებიც ქრისტიანები არიან. ამჟამად ის ქურჯების ხელშია და მათი მეფე განაგებს.

**ფორმა, რომელიც მოტანილი „თარიფ“-ში (ალ ომარის ნაშრომი) ქურჯთა მეფის ლაქაბის შესახებ:**

„უმაღლესობისა, მეფური უდიდებულესობისა, სახელოვანისა, რაინდისა, მამაცისა, ღომისა, გულადისა, მუდმივად თავდამსხმელისა, ღომგულისა, ტახტის მფლობელისა და გვირგვინოსანისა, მის სარწმუნოებაში განსწავლულისა, სამართლიანისა თავის ქვეშევრდომთა მიმართ, რჩეულისა იღრკიის მეფეთა შორის, ქართველთა სულთნისა, ზღვათა და სრუტეთა სამფლობელოების განძისა, რაინდთა სამწყსოს დამცველისა, მისი წინაპრების ტახტ-გვირგვინთა მემკვიდრისა, რუმის და ირანის ქვეყნების მფარველისა, იონელთა (ბერძენთა) ამოღებული მახვილისა, ასურელ მეფეთა ესენციისა, ტახტ-გვირგვინთა მემკვიდრეთა შორის რჩეულისა, ქრისტიანობის განმადიდებლისა, ისას (იესუს) მიმდევართა შემწისა, მესიის გამორების ცხებულისა, თავის განზრახვით წმინდა სახლის (იერუსალიმის) განმადიდებლისა, ნათლისღებულთა საყრდენისა, პაპის შემწისა, – რომის პაპისა, მუსლიმთა მოყვარულისა, დაახლოვებულ მეგობართაგან უწმინდესისა, მეფეთა და სულთნთა ერთგული მეგობრისა“.

**ფორმა, რომელიც მოხსენიებულია „თასიფ“-ში ქურჯთა მეფის ლაქაბის შესახებ:**

„მეფური უდიდებულესობისა, სახელოვანისა, ქებულისა, დიდგვაროვანისა, მამაცისა, დიდსულოვანისა, წმინდანისა, სულიერისა, მავანისა, ქრისტიან ხალხთა ძლიერებისა, განძისა, ჯვრის საზოგადოებისა, ქრისტიანული რელიგიის საბაჟისა, მეფისა მთიანეთისა, ქურჯთა და ჯურჯანთა (ქართლები), მეგობრისა მეფეებისა და სულთნისა“.

**ფორმა, რომელიც ენახე ერთ-ერთ დოკუმენტში**

**ქართველთა მეფის ლაქაბის შესახებ:**  
**„მეფური უდიდებულესობისა, მის სარწმუნოებაში განსწავლულისა, სამართლიანისა თავის სამეფოში, გვირგვინოსანისა, ალაჰის მავანისა, ქრისტიან მეფეთა მეთაურისა, ქრისტიანული რელიგიის უდიდესი დამცველისა, ქურჯთა... სამეფოს ხელმძღვანელისა, გულწრფელი მეგობრისა მეფეებისა და სულთნებისა“.**

**ეგვიპტის მეფეებთან მიმოწერის შესახებ, მათში ვრცელდება დამკვიდრებული გამოთქმა, ურწმუნო მეფეებისადმი.**

იცოდეთ, რომ ურწმუნო მეფეები, რომელთაც მიმოწერას აწარმოებენ, ამ სამეფოებიდან ყველა ქრისტიანია. ესენია: ბიზანტიელები, ფრანგები, ქართველები, ეთიოპიელები და სხვა. რაც შეეხება ებრაელებს, მათ ერთ დროს ცნობილი და განთქმული სამეფო არ დარჩათ, ისინი მუსლიმთა ხელქვეითი მეფენი (ხიმეები) არიან. ალაჰმა თქვა, მაღალია არს, დაეცემა მათი დამცირება, სადაც არ უნდა იყვნენ, ან თოკით ალაჰისაგან, ანდა თოკით ხალხისაგან. „თარიფ“-ის მიხედვით; ყველა წერილი მიმართული ურწმუნო მეფეებისადმი არ შეიცავს პატივისცემის მიმართვას სტრიქონის დასაწყისიდანვე, არამედ ბისმილას შემდეგ იწყება წერილი ქათიმის ხელით. „კეთილ-შობილი“ ნიშნის მხრიდან, რომლის ფორმა ასეთია: „უდიდებულესი სულთნის მეფე ან – ნასირისაგან – მაგალითად, მეცნიერისა, სამართლიანისა, მებრძოლისა, დამცველისა, შემწისა, ძლიერებისა, გამარჯვებულისა, მეფეთა-მეფისა, ამ ქვეყნისა და რელიგიის მავანისა, ისლამისა და მუსლიმთა სულთნისა, მეფისა არაბთა, სპრსელთა და თურქთა, ალაჰის აზრდისა დღეამიწაზე, მოქმედებაში და ვალდებულებაში მტკიცისა, ისქანდერის დროისა, კათედრის, ტახტისა, გვირგვინის მფლობელისა, მბოძებლისა, ქვეყნისა და ქალაქებისა, მწავრულთა შემეფრობებისა და ურწმუნოთა გამანადგურებლისა, წმინდა ადგილებისა და ნიშების მფარველისა, რე-

ლიგიურ წარმონათქვამთა შემგროვებლისა, სამართლიანობისა და სიკეთის დროშის გამაგრებელისა, ჩვენი დროის მეფეთა მეთაურისა, სრულყოფილი იმამისა, მართლმორწმუნეთა ემირისა, მამა მავანისა, ძე სულთნისა წამებული მეფისა, მავანისა, ხანგრძელს ყოფს ალაჰი მის სულთანს, მფლობელს ძლიერებისი ლაშქრისა, ჯარისა და ქვეშევრდომებისა“.

განმარტა რა ეს მუჰიბიმ თქვა „თასიფ“-ში: მონოგრაფია იქნება ორი შეერთების შემდეგ, წერილის დასაწყისში ადგილის გამოტოვებით, კარგი მინდვრებით ორივე მხრიდან: მარჯვნიდან და მარცხნიდან გამოტოვებული ადგილის შემდეგ თანაბრად იქნება ოთხი თითის ზომაზე ან უფრო მეტზე, ყველა მხრიდან, განიერ ქალაღზე, ჩვეულებრივ ფორმაზე ნაკლები, ხაზები ერთმანეთთან ახლოს. მათ შორის იქნება გამოტოვებული ადგილი, ზომით ცერისოდუნა, ან უფრო მეტი მარცხნივ და როდესაც დამთავრდება წოდებები, დაიტოვება სუფთა ადგილი, შემდეგ დაიწერება ბისმილა, „კეთილ-შობილი“ და ბოლოს ფორმა მიმოწერის იმასთან, ვისაც სწერენ.

**აღმოსავლეთის ქვეყნების ურწმუნო მეფეებისადმი ეგვიპტის სულთნების მიმოწერის შესახებ:**

ყველა იმ ქრისტიან სამეფოთაგან, რომელთაც მიმოწერაში იმყოფებიან ეგვიპტის სულთნები, არის ორი სამეფო. პირველია ქართველთა, რომლის მცხოვრებნი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. **„თარიფ“-ის** მიხედვით, მუსლიმები მას უწოდებენ **„ქურდ“-ს** და ქრისტიანები – **„ქურჯ“-ს**. ნათქვამია აგრეთვე, რომ ის მდებარეობს რუმისა და არმენიის ქვეყნებს შორის. ქართველთა ქვეყანა დიდია. ის დიდებული სამეფოა და თითქოს გამოყოფილია ამ ორი ქვეყნიდან. მასში ხელისუფლება მტკიცეა და მისი ძალაუფლება მყარია. მისი დედაქალაქია თბილისი. ხელისუფლება პულაგუელთა სახლის ხელთაა (ირანის სამეფოში) და ის განაგებს მას. იარღიეები აღწევენ იმ შემთხვევაში, თუ არ არის გადასული ზღვარს მისი დინება და არ დაძვინან საცხოვრებელთა შორის ომის გასაჩაღებლად მისი მხედრები. სულთანს მასში ჰყავს მხოლოდ 10.000 მხედარი სახლგვრისი დასაცავად და ბრძანებების აღსასრულებლად. მათი საცხოვრებელი ვრცელი ხეობებია. მცხოვრებნი მომთაბარენი არიან, გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე უკანასკნელი, ვისაც ჰქონდა კარგი სახელი ამ მიწაზე და აქ დაიდუპა, იყო შეიხი მაჰმუდი იბნ ჯუბანი. ის იყო მამაცი, მწარე ხასიათის ადამიანი. როდესაც შეემთხვა მას ინციდენტი მამასთან, დაცვისათვის მიმართა უზუქუ ყანეს, მაგრამ დიდხანს ვერ იტოვებდა და ვერ შეიმსუბუქა მწარე ხედრი, მოვიდა მისი აღსასრული და ვერ შესძლო მისი უკუქცევა.

ქართველთა ლაშქარი მტკიცედ იცავს სარწმუნოებას და შესდგება გულადი და მამაცი ხალხისაგან. პულაგუელთა ლაშქრისათვის ის არის საიმედო ძალა და დასაყრდენი. (პულაგუელთა ლაშქარი) ენდობა ქართველებს და ჯუბანის შეილებსა და შევილიშვილებს, ნიშნად მათიდან ჯუბანის მიერ აღმოჩენილი სიკეთისა და მადლობისა მფარველობისათვის, რომელსაც პულაგუელები პოულობდნენ მასთან. ის (ჯუბანი) იყო გულწრფელი მეგობარი მათი მეფის ბარტილმასი (უთუოდ გიორგი ბრწყინვალეს ეპითეთი უნდა იყოს). ჯუბანმა დანერგა მასთან კეთილი საქმე და სთხოვა, თვალყური ედევნებინა დეპოზიტისათვის. ის იყო უსაყვარლესი მის საუკეთესო მეგობართა შორის და ყველაზე გულწრფელი მეგობართაგან. მეფე იხმობდა ჯუბანს მნიშვნელოვან საქმეებს გადასაწყობად და დახმარებისათვის მიმართავდა გაჭირვების დროს. ბარტილმა თვლიდა მას თავისი ლაშქრის საყრდენად და მისი უბედურების უკუქცეველად. ამა დაურთო (აგრონომი), რომ ზემოხსენებული ბარტილმა ახლაც ცოცხალია და კარგად არის. ის ერთ-ერთი ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის და ყველაზე მტკიცეა ნათლისღებულთაგან. იგი ჩაება მიმოწერაში (ეგვიპტის) სულთნის კართან (იერუსალიმის) ჯვრის მონასტრის შესახებ და სთხოვა, გაეთავისუფლებინათ იგი დამპყრობელთაგან. გამოვიდა ბრძანებები მათთვის მისი დაბრუნების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ჯვრის მონასტერი უკვე მიტაცებული იყო და გადატყვეული იყო მეფეთად (იერუსალიმის) კედლებს გარეთ).

მონასტრის ქრისტიანებისათვის დაბრუნებამ დაამწუხრა სწავლულთა და კეთილმსახურთა ჯგუფი, თუმცა ეს მოფიქრებულად არ იყო გაკეთებული. ამბობენ, ქართველთა მეფე მოუწოდებდა ჯუბანს სამფლობელოების დაპყრობისაკენ და ამისათვის აურაცხელ სიმდიდრეს პირდებოდა. ნათქვამია: მოსხუნიებულ იქნა წესი მიმოწერისა (ეგვიპტის სულთანსა და ქართველთა მეფეს შორის): „ალაჰიმც მაღალი ხანგრძლივი ჰყოფს ბრწყინვალეებას უდიდებულესი მეფისა, სახელოვანისა, რაინდისა, მამაცისა, ღომისა, გულადისა, მუდმივად თავდამსხმელისა, ღომგულისა, ტახტის მფლობელისა, გვირგვინოსანისა, მის სარწმუნოებაში განსწავლულისა, სამართლიანისა თავის ქვეშევრდომთა შორის, რჩეულისა იღრკიის მეფეთა შორის, ქართველთა სულთნისა, ზღვათა და სრუტეთა სამფლობელოების განძისა, რაინდთა სამწყსოს დამცველისა, მისი წინაპრების ტახტ-გვირგვინთა მემკვიდრისა, რუმისა და ირანის ქვეყნების მფარველისა, იონელთა (ბერძენთა) ამოღებული მახვილისა, ასურელ მეფეთა ესენციისა, ტახტ-გვირგვინთა მემკვიდრეთა შორის რჩეულისა, ქრისტიანობის განმადიდებლისა, ისას (იესუს) მიმდევართა შემწისა, მესიის გამორების ცხებულისა, ნათლისღებულთა საყრდენისა, პაპის შემწისა, – რომის პაპისა, მუსლიმთა მოყვარულისა, დაახლოვებულ მეგობართაგან უწმინდესისა, მეფეთა და სულთანთა მეგობრისა“.

ეს არის კეთილი სურვილი მოყვანილი „თასიფ“-ში: **„დაცულ იქნეს მისი სამეფო სიყვარულით მისდამი და არა ლაშქრით, მისი ერთგულებით პირობისადმი და არა ჯარით, მტრული მიდრეკილებით კეთილმსახურებისადმი და არა იმით, რაც მიეწერება მას ჩვენი შორსმჭვრეტელური განხილვით (რომელიც მითხობს მის მხარდაჭერას) და არა იმით, რაც გაკვეთავს ცეცხლს მისი კეესიდან“.** ზოგჯერ იხმარება **„ერთგული მუსლიმი“**, ნაცვლად **„მუსლიმისა“**. რაც შეეხება **„თასიფ“-ს**, მოხსენიებულია, რომ ქართველებს ჰყავდათ ორი მეფე. პირველი მათგანი თბილისის მმართველი იყო, რომლის მოხსენიება წინ უძღვოდა და მისი სახელი იყო დავიით, მეორე – სოხუმისა და ახხასის განმგებელი. ეს ორი ქალაქი არის ყირიმის სამხრეთით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული საუბარში ჩრდილოეთის მხარეს მდებარე სამეფოებსა და გზებზე. მის მფლობელს ეწოდება დადიანი, ნათქვამია: წესი მიმოწერისა თითოეულ მათგანთან ნახევარ თაბახზე: „ალაჰიმც მაღალი ხანგრძლივი ჰყოფს ბრწყინვალეებას მის მეფურს უდიდებულესობისა, სახელოვანისა, ქებულისა, მამაცისა, ღომისა, გვირგვინისა, ნაკურთხისა, სულიერისა, მავანისა, ქრისტიან ხალხთა ძლიერებისა, განძისა ჯვრის საზოგადოებისა, სიამაყისა ქრისტიანული რელიგიისა, მეფისა მთიანეთისა, ქართველთა და ჯურჯანთა, მეგობრისა მეფეებისა და სულთნებისა და ეწოდებოდა ყოველ მათგანს „ქართველთა მეფე“. შემდეგ ნათქვამია: მოიხსენია განსვენებულმა ყაღმა შიპაბ ად-დინ იბნ ფადლ ალ-ლაჰმა აღნიშნულ მიმოწერაში მხრვადასხვა ცვლილებების შესახებ, საგრამ მათი მოხსენიება არ არის საჭირო, რადგან, რაც მოვიყვანე, ის დარჩა ამ სახით უკანასკნელ დრომდე. ვამბობ (ალ-ლაჰ-ლანდი): ეს იმიტომ, რომ უპატენტებულესი შიპაბ ად-დინ იბნ ფადლ ალ-ლაჰის დროს ის (ქართველთა მეფე) სარგებლობდა პატივისცემით და თათრების მისდამი კეთილგანწყობილებისა და ჯუბანთან ახლო ურთიერთობის წყალობით, როგორც წინ იყო მითითებული. იმიტომ მასთან მიმოწერაში ხმარობდნენ უფრო მაღალ და საპატიო ეპითეტებს, მაგრამ, როდესაც ირანში თათართა სამეფო მოიხსო და მათი ძლიერება გაქრა, მიმოწერის ხარისხი ეგვიპტის სულთნებისა ქართველ მეფეებთან ადრე არსებულთან შედარებით დამდაბლდა.

საუბარში გზებუა და სამეფოებზე ქალაქ თბილისზე ნათქვამია, რომ ის არანის სარტყელიდანაა, რომ დაიპყრეს მუსლიმებმა, მაგრამ შემდეგ სძლიეს ქართველებმა და კვლავ დაეუფლენ. თბილისის განმგებელს უწოდებენ თბილისზე ძალაუფლების მიმოვისებულს ისე, როგორც არმენიის განმგებელს სისასას უწოდებდნენ სისაზე ძალაუფლების მიმოვისებულს და კვიპროსის განმგებელს უწოდებენ კვიპროსზე ძალაუფლების მიმოვისებულს.

# ორაბულაბი ოღაბაღეში დაბრუნდებიან

როდის, სად გაწედა ძაფი?  
როგორ შეძლო მტერმა გაეხლიჩა, ნაფორტე  
ბად ქცვია მშობლიური?!

რატომ რჩებიან მარადიული მოყვრებად, მძე-  
ბად და ნათესავედ ერთ წყალ-ჭალაში  
დაუტყვარი ქართველები და აფხაზები  
საქართველოს გარეთ?!

რა არის ჩვენი უღურე გაუტყვლობის, ამგ-  
ვარი, ერთი შეხედვით, უცნაური ურთიერ-  
ობის დერეფა და საფანელი?!

ეს კითხვები და კიდევ სხვა ბევრი კითხ-  
ვა აწუხებს ამ წიგნის ავტორს, რაფიელ  
გელანტიას.

მაწუხებს მეც, ამ ტკივილებით სავსე წიგ-  
ნის რედაქტორს.

ეს კითხვები არ ასვენებს, ალბათ, ხელისუ-  
ფლებსაც, რომელმაც სასიკეთო ვერაფერი  
ქნა დღემდე.

და, ბუნებრივია, ხალხსაც.  
ქართულ-აფხაზური ტრაგედიისთვის  
თვალის შეგლება ცნელია, მასზე წერა, მისი  
ქალაქზე გადარჩანის მცდელობა, მიუყვებენ.

ეს უფრო მომავლის საქმეა.  
აბა, რა ძალა მოერევა!  
რა კალამი და მელანი ეყოფა!  
რა წვა და საღაღო დღე!...

მანინც რა მოხდა?  
თუთის შავი რატომ შეერქვა, შავს კიდევ  
– თეთრი?

კავკასიელების დაუძინებელი მტერი და  
დამპყრობელი როგორ გახდა აფხაზის მოყ-  
ვარე?

იგი თავის შეცდომასაც ხვდება და  
თავისი მარადიული ძმის ზედობის ნაყოფ-  
საც ენგურს გადმოდან სველიანად გამო-  
ჰყურებს.

ძმის გაორებას, ორმაგ სახეს ვერ ვეუბნა.  
ხიდავს, რომ არც გამომდამა უკეთ საქმე:  
ადამიანის უფლებას და თავისუფლებას  
ფერი და სურნელი რომ წაუვიდა; საზოგა-  
დოების უმნიშვნელო ნაწილი რომ ეკლექ-  
ციონის უკანონო რაიმე არ კანონობს  
როგიანად. გაუღიზილებს მანინც აქეთ აქცე. და,  
ამას გრძნობს ამ წიგნის ავტორი. ჩვენი ერ-  
თობის ისტორიას, ცხოვრების წესსა და  
ტრადიციას გვახსენებს და გვაძივლებს, რომ  
ჯერ კიდევ არაფერია დაკარგული.

ამ წიგნის მთავარი სათქმელი ესაა.  
ამ წიგნის კიდევ ერთი სათქმელი  
ეროვნული ინდიფერენციაშია, – ქართველთა  
ნაწილის გაუცხოება, კონფორმიზმის და  
სხვათა მომედობის დაუშვებლობა. ავტორი  
ცდილობს წარსულიც დაგვიხსნათხატოს,  
აწმყოც და ომის ქარცეცხლები დაღვებაც;  
შემოწმებულ სხეულებს და განუტყვებელი  
ადამიანების სულის მოძრაობა დაგვანახოს.

ორაგულივით გზას, ოღაბაღეში  
დასაბრუნებელ ბილიკს ეძებს, რომ იქ  
მშობლიურ საბანების წილში დაეაროს  
ქვირითი და მერე თავადაც იქვე პოვოს  
ძვალშესალავი.

რაფიელ გელანტია ამას შესძლებს,  
რადგან: სიცრუეს – სიმართლეს, ბოროტე-  
ბას – სიკეთეს, სიძულვილს – სიყვარულს,  
სიღარეს – ვაჟაკობას უპირისპირებს.  
მისი პიროვნული თვისებების, მისი შეხედ-  
ვლებებისა და სულის ალიკვალა ეს წიგ-  
ნიც – მიტყუების, შერბების, დანდობის მო-  
სურნე.

ამიტომ ვფიქრობ, ისიც წავაღებთ, მა-  
გრამ თავისუფლად ვაკლავს გზას, – აფხ-  
აზსაც დაფიქრებს და ქართველსაც; ერთსაც  
უჭირისუფლებს და მეორესაც. სინანული ხომ,  
ადრე თუ გვიან, ზღვასავით დადგება, მზე-  
სავით მაღლა აიწევა და აფხაზეთშიც და და-  
ნარჩენ საქართველოშიც ერთ მთლიან, მოჭ-  
იქულ გუმბათად იქცევა!

სინანული...  
იგი ამ წიგნიდან, ამ პატარ-პატარა ჩანახ-  
ატებიდან, პუბლიცისტური ნარკვევებიდან,  
ნოველებიდან მოყოლავს, ჩვენსკენ მოის-  
წრაფის, რათა ჩვენს ეზო-ყურეს მოეფოფინოს,  
ჩვენს გულსა

და უერთაბმენას მოსწავდეს, აქეთ, ჩვენსკენ  
მოიწვევს, რომ გვიმკურნალოს, ფეხზე წამოგ-  
ვაყენოს, ჩვენზე გულგატეხილი, დროებით  
გაბურტული მანათობელი შემოგვირიგოს.

რაფიელ გელანტია ოღაბაღე დაცივლი-  
თა, გაუგრანებელია, გაპარტახებულია. უმეცარ  
თვალთა სიველურე სპობს იმასაც, რაც  
გადარჩა. მანინც აფხაზეთის გადარჩენაზე  
ლოცულობს. ერთიანს, საქართველოს განც-  
და ვეუღლა მოთხრობას თუ ნარკვევს  
სტრიქონ-სტრიქონ დაჰყვება.

ამიტომ ვურედაქტორე ამ წიგნს. ამიტომ  
მაც ჩაუვადე მისი გამოცემა აუცილებლად,  
თვალის მოუხუჭე ბევრ რამეს, რათა მან ისე  
იარსებოს, როგორც დაიბადა, ისე იყოს  
სტრიქონი და აზრი დალაგებული, როგორც  
ავტორი ხვდავს და განიცდა.

ეს წიგნი ნაღველისა და დარდის, ცრემ-  
ლისა და ტკივილის ერთი დიდი გორაა.  
უდარბო მისი სულიერი გამირის დილა-  
სადამო. წყვარამა მის ირგვლივ, მაგრამ  
მანინც არ იმუხუტება, წყვარამართული დგას  
და თავის სათქმელს გვეუბნება, საშველს, ხს-  
ნას ეძებს, წმინდა ადამიანურსაც, საზოგა-

დობრივსაც და სულიერსაც.  
ოღაბადესკენ გზას ეძებს-მეთქი!

ხან გულავა წყლის ნაკალატარებს  
მოუყვება, ხან, ოხოჯესა და წარჩე წყალს, ხან  
მთიანი ოქმიდან ლაშქიდარამდე გაბმულ  
ნანჩქერთა კასკადებისკენ იღებს გეზს, ხან  
კიდევ ცივ და წყალმარჩხ რუებს წაეთა-  
მაშება, მაგრამ გზად თოფიანი კაცები  
ხვდებიან – რამდენჯერაც არ იცვალოს გზა  
და მხარი, ყველგან ისინი არიან, არიან  
სიკვდილად და უბედურებად.

დგანან:  
ენგურის ფონებსა და წყალმარჩხებზე;  
გააგვი-განმუხურში, მუხურ-სამელაიოში,  
დინაზურგა-საბერიოს ვირაკებზე, ზენსა და  
სამარტალოზე, ფახულანსა და ჭალეზე, ენ-  
გურის ტოტებზე.

დგანან და მას და მისი მოყვასის გამო-  
ჩენას ელიან, რათა ერთხელ კიდევ მითაღს-  
ოს ისედაც მგლოვიარე, მოწყენილი, უს-  
აშველო ნატრული ქცეული ოღაბაღე.

ეს დღე არ დაღვება.  
უთუოდ დადგება ჯამი, როცა მოძმეთა  
სინანული ზღვად იქცევა, ნათელი დაამარ-  
ცხებს წყვარამს და თლივების ფრთების  
შრიდში მოგაწევეს აფხაზეთის ერთად აყ-  
ვავება, თუმცა ერთი პირობით:

თუ ამ წიგნის ავტორით ვიფიქრებთ და  
გვეყვარება ჩვენი დანაფორტებული სამ-  
შობლო.

**ბაღრი ცირამშა,  
წიგნის რედაქტორი**

**ბაზეთი "ილორის" რედაქციას**  
ახლახან კიდევ ერთხელ განვიცადეთ აფხ-  
აზეთის დაკარგვის მე-17 წლისთავი. წუხ-  
ილით გისამიძრებთ აფხაზეთის ჭირისუ-  
ფლებო!

1993 წელი ტრაგიკული აღმოჩნდა სრუ-  
ლიად საქართველოსთვის, და მანინც, ხსოვნისა  
და იმედის დროც, რამეთუ უარესიც ყოფილა  
ჩვენი სამშობლოს ისტორიაში და ფეხზე  
წამომდგარვართ. სიმბოლურია, რომ 27 სე-  
ქტემბერი ჯვართამაღლებების დღეა! უთუოდ  
აგმაღლებით.

ჩვენი, ანუ ცოცხალი და მოქმედი თაობის  
ვალთა შეიღებს არ დავეტოვოთ ჩვენი შეც-  
დომების მწარე ნაყოფი! მოქმედება საჭირო  
ქვეყნის გასამთლიანებლად. ამ თვალ-  
საზრისით საქართველოს სახელმწიფო  
სტრატეგია **"თანამშრომლობა ჩართულობის  
გზით"**, კარგი ნაბიჯია. საერთო კავკასიური  
სახლის იღვია, რომელიც საქართველოს  
პირველი პრეზიდენტიდან მიდის და გაერთო  
ამ დღეებში კვლავ იქნა წამოწეული,  
საქართველოს საზოგადოების უფრო მეტ  
მხარდაჭერას მოითხოვს. თქვენი წილი კი, ამ  
საქმეში, ღამის წილია უთუოდ, რადგან  
თქვენზე უკეთ არავინ იცის თუ როგორ ინ-  
გრევა დაბზარული სახლი.

წიგნი **"ნანა ჩვენი, აფხაზეთი"**, იმედის  
წიგნია, რეალური სურათები და ეპიზოდები  
იმ ფენომენზე, რასაც ომიც ვერ მთვრია და  
რაიც ვაგვათლიანებს მომავალში. შევცბი,  
როცა ამ წიგნზე ერთი სიხუმელი ნიჭიერი  
კაცის კომენტარი ვიხილე **"საქართველოს რე-  
სპუბლიკაში"**!

ძველი სოხუმის ფოტოები ახლადმოჩე-  
ნილი განიხი ჩემთვის, რაც თქვენც მოგანი-  
ჭებთ სიამოვნებას.

ტკივილი ტკივილია უთუოდ და ნა-  
იარევე დიდიდან პატარა წერილი დაუდევ  
მალამოდ, რასაც თქვენც გიზიარებთ.

**ერემზუტი პატივისცემით,  
რაფიელ გელანტია 27.09.2010**

**აფხაზეთი ბალაღები**  
**(რაფიელ გელანტიას "ნანა ჩვენი, აფხ-  
აზეთი" გამოსვლის გამო)**

დარწმუნებული ვარ, ყველას, ვინც მოახ-  
ერხა და უკვე წაითხა ნიჭიერი, პატრიოტი,  
კეთილშობილი პიროვნების, აფხაზეთის სიყ-  
ვარულისა და ტკივილის ნათლობის ჯვარი-  
თი მატარებელი ბატონ რაფიელ გელანტიას  
წიგნი **"ნანა ჩვენი, აფხაზეთი"** (თბ., „ინ-  
ტელექტი“, 2010), დიდხანს გაყვება მიღებული  
შთაბეჭდილებები, როგორც მხატვრული  
და აფხაზეთიდან წამოსული ნიავე ესალ-  
ბუნება და შეუძლებელია, რომ ის, ვინც აფხ-  
აზეთს იცნობს, არ აღმოჩნდეს მისთვის  
აგერეივად ნაცნობ, შინაურ, მშობლიურ  
გერემოში. წიგნის კითხვისას ნიჭიერი ადამი-  
ანის მხატვრულად დანახული და გააზრე-  
ბული ამბების გაცნობისას არ გტოვებს  
გრძნობა, თითქოს აღწერილი ამბავის შემ-  
სწრე და თანამონაწილე ხარ.

**"ნანა ჩვენი, აფხაზეთი"** არაა უბრალოდ  
მოთხრობების, ნოველების, ჩანახატების (ოთხ-

მოცამდე ნაწარმოების) კრებული. ისინი  
დამოუკიდებელი, მაგრამ ერთი მთლიანი  
სიუჟეტური ქარვით შეკრული ნაწარმოებე-  
ბი, ფაქტობრივად, ბალაღები არიან, ბალაღე-  
ბი აფხაზეთზე და აფხაზეთელებზე, აფხ-  
აზეთელების სიყვარულზე, პატრიოტიზმზე,  
გმირობასა და ვაჟაკობაზე, ერთიანი სამ-  
შობლოსა და ბედ-იღბლის მქონე ადამი-  
ანების ერთმანეთისგან ტრაგიკულ დაცილე-  
ბაზე; იმ ხალხზე, ვინც ამ მიწაზე ომამდე ცხ-  
ოვრობდა, ვინც ომის დროს თავის სიმარ-  
თლეს იცავდა ორივე მხრიდან, ომის შემდგომ  
პერიოდში ერთმანეთს დაცილებული ნათე-  
სავეების, მეგობრების, მეზობლებისა თუ  
უბრალო ნაცნობების ყოფაზე, თუ როგორ  
ეძებენ ისინი თავიანთ სიმართლეს და... ერთ-  
მანეთისკენ სავალ გზებსა და შესაძლე-  
ბლობებს. წაიკითხეთ ნოველა **"სამურზაყა-  
ნოელი ორავლები"** და თქვენ პატრიოტული  
ადრენაღის უზარმაზარ დოზას მიიღებთ,  
დაკარგავთ სიმშვიდეს და გაგიინფორმებთ  
სურვილი, იმ ორავლებზე ნაკლები შემბა-  
რებით არ იბრძოლოთ მშობლიურ კუთხეში,  
საკუთარ კერაზე დასაბრუნებლად. ავტორი  
საითაოდ შეგეძახის, მოგვიწოდებს,  
გვაიმედებს: ძმანო ქართველო, კოლხებო,  
აფხაზეთელებო! – არ მოეშვათ, არ ჩამოეშ-  
ვათ ხელები, ჩვენი სამშობლო ენგურს იქი-  
თაცაა, ჩვენ აუცილებლად დაბრუნდებით  
იქ! როგორც ორავლები ცდილობენ თავი-  
ანთ ოღაბადეს დაუბრუნდნენ, ისევე  
ცდილობენ სამურზაყანოელები თავიანთ  
მშობლიურ კერაზე დაბრუნებას. **"ღვთიური  
წესია, ორაველი საკუთარი სიცოცხლის  
ფასად მრავლდება, ოღონდ და უთუოდ  
ამისათვის მშობლიურ ადგილებში  
დაბრუნება აუცილებელია... შემზარავი სანახ-  
ავია ქართველთა დაბრუნება აფხაზეთში მა-  
გრამ მათ სხვანაირად არ შეუძლიათ."**

**"ვარდანიების დედა"** – ეს ხომ ერთი აფხ-  
აზეთი ოჯახის, ხუთი აფხაზის სევანი დედის  
ტრაგედიაზე ქართულად დაწერილი  
ბერძნული ტრაგედიების ტოლფასი ნაწარ-  
მოებია! ანდა **"ვარდი და პური ჩემი გოგო-  
ნასთვის"** – რეკვიემი აფხაზეთიდან დევნილი  
მამა-შვილის ტრაგიკულ ბედზე...

ბატონი რაფიელ მიუღწევს მხატვრულ  
მიღწევებს და გააზრებას, განზოგადებას  
სწრაფად, თითქმის ბუჭდვითი მედიის კურ-  
ნალისტის სიჩქარით ახერხებს. ამის მაგა-  
რითად გამოდგება ნოველა **"მუშინ"**. – იმ  
დროს, როდესაც ჩვენი პოლიტიკოსებისა და  
საზოგადოების ნაწილი ჯერაც კამათობდნენ  
2008 წლის ავღისტოს ომის მიზეზებისა და  
დაწყების თაობაზე, **"ტალღების დასკვნაც"**  
კი არ იყო მაგიდაზე დადებული, მწერალმა  
შექმნა დიდებული ტილო ერთი კოდორის  
ხეობების ცხოვრებასა და სიკვდილზე  
ავღისტოს ომის ფონზე. ეს მცირე ზომის  
ნაწარმოები (სულ სამ გვერდზეა), ჩემის  
აზრით, მთის თემაზე დაწერილ საუკეთესო  
ბალაღებს როგს მიეკუთვნება, მეოთხეულზე  
მხატვრული ხეობისთვის თვალსაზრისით  
კი ლეო ქიანჭიის **"მთის კაცსა"** და ლეე  
ტოლსტოის **"ივან ილიჩის სიკვდილის"**  
გვერდით დგას.

წიგნში განსაკუთრებით საინტერესო ქარ-  
თულ-აფხაზური ურთიერთობებია. არ შეი-  
ძლება დაგავიწყდეს აფხაზეთა მხვერავი  
შამილი და მისი და, რომელმაც ფაქტობრივად  
სიცოცხლე აჩუქეს ქართველ ბავშვს კობას,  
ყველაფერი გააკეთეს მის გადასარჩენად  
(**"ცერა თითი"**), საკუთარ სიმართლეში დარ-  
წმუნებული და დროის ერთგული აფხაზი  
კვარაცხელია (**"ტყვის ტყვეები"**), არველი  
აჯინჯალი (**"აფხაზი ნოსტრადამუსი"**), რუს-  
ლანი (**"ამრა"**) და მრავალი სხვა. ამავე დროს,  
ავტორი მხატვრულ ფერებს არ იშურებს  
სხვა ერების წარმომადგენელთა დასახასი-  
აობლადაც. – საქართველოსა და თბილისის  
პატრიოტი ქურთი თემური ამავე სახელ-  
წოდების მოთხრობიდან, ებრაელი მოშე-  
ისაკაშივი (**"ებრაელთა ქუჩა"**), მთიელი  
მანსური (**"მისხლისე"**)...

ომმა და ტრაგიკულმა დაპირისპირებამ  
მნიშვნელოვანწილად ქალთა მხრებზე გადა-  
იარა და ავტორი მათდამ მოწოდებს და  
ხარკს ერთი მთვრეზე საინტერესო სახეების,  
ქალთა ხასიათების უმდიდრეს გაღვრებს შე-  
ქმნილ იხდის: სნაიპერი სვიდა (**"ნანა, აბ ...  
აა!"**), ეკა (**"სეირინგანი ქალი"**), ნანა  
(**"უმანკოების ფანი"**), ინგა (**"ინგა"**), კარინა  
(**"მეზობელი კარინა"**), ლია და ნანა (**"ქალის  
სურნელი"**), თამარი (**"მარადიულ ძახილი"**),  
ალაი (**"ლალი"**), ლიკა (**"თბილისი-სოხუმის  
მატარებელი"**), ნანა (**"ილია სამურზაყანოში"**),  
მარიამი (**"ამშაპა"**), უკვე ნახსენები ვარ-  
დანიების დედა...

ავტორისეულ პერსონაჟთა შორის არიან  
არა მხოლოდ ადამიანები. – შეუძლებელია  
დაგავიწყდეს ადამიანთა ოთხფეხა მეგობრ-  
ებიც: კავკასიური ნაგახი დიკი, რომელმაც  
ათი წლის შემდეგაც გულაუთაში სტუმრად  
ჩასული პირვანდელი პატრონის ცნობას და  
ერთგულებას შესწირა სიცოცხლე (**"დიკი"**),  
ჯეკა, რომელმაც ზუგდიდიდან თბილისში მი-  
აგნო თავის პატრონებს (**"ჯეკა"**)...

საოცრად აქტუალურია ალგორითული  
მოთხრობა **"ხეგუმი"** და ისტორიულ რემი-  
ნისცენცირებაზე აგებული მოთხრობები  
**"ციბა"** და **"ნაფხურები სველ ქვიშაზე"**.

მთლიანობაში, ის რაც წითელ ზოლად  
გახსდეს მთელ წიგნს, სიყვარულია. ავტორი  
განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით  
წერს ქართველებზე და აფხაზეთზე, ტრაგედი-  
ის სიღრმეშიც კი ის ოტიმიზმით, იმედინად  
უყურებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობე-  
ბის მომავალს. ამიტომაცაა, რომ თავისი პუ-  
მანიზმით ეს ნაწარმოებები ნოდარ დუმბაძის  
შემოქმედებას, ხოლო სიუჟეტთა პერიოკუ-  
ლობით, მამია ასათიანის ბალაღებს  
მაგონებენ.

**"ნანა ჩვენი, აფხაზეთი"**, ავტორის ნიჭის  
და მშობლიური მიწის ტკივილიანი სიყ-  
ვარულის, სისხლის ყივილია და ამიტომაც  
არ შემიძლია ამგვარი სურვილით არ დავაბ-  
თავრო ჩემი გამოსხაურება: თქვენი შემდეგი  
წიგნის პროზონტაცია მალე აფხაზეთში,  
თქვენი მშობლიურ გალსა და სოხუმში  
ყოფილიყოს, ბატონო რაფიელ!

**ირსამ არჩვაძე,  
„საქართველოს რესპუბლიკა“,  
28 აპრილი, 2010 წ.**

**გთავაზობთ ბატონ რაფიელ გელანტიას  
რამდენიმე მოთხრობას  
მამაშვილთან**

ქანცვაცლილი ივეროსი ჩამოვდა. ვერ  
გაიხსენა რამდენი დღე იყო გზაში, ფიქრის  
დროც არ ჰქონია. გაუმართლა, – ვინც  
სიკვდილად დაეღვრა, ყველა მოკვდა ან შე-  
მოაკვდა.

მიწიერი სამოთხეა პინდოსი, – მწვანე მთე-  
ბი და მყინვარები მოჯარულან ირგვლივ,  
მშვიდად ფშვინავენ და წაქანწკარებენ რუე-  
ბი და ნაკადულები, ჭიკჭიკებენ ჩიტები, სიყ-  
ვარულობენ ირმები, ანცობენ ქურციკები,  
ფუსფუსებენ წელში გადაწვეტილი ჭიან-  
ჭველები.

თავისი საყვარელი ბიჭები დაუფლა თვალ-  
წინ, – აფხაზისი და იროსისი, მასავით მალ-  
ლები, ღამაზე, დაკუნთულები და მო-  
ქნილები. უდროდ გაზარდა ბიჭები ივეროს-  
მა, ამიტომაც ენდობოდა ზედმეტად და ძმე-  
ბივით დაიყენა გვერდით. ვერ ჰპატიობდა  
თავისთავს ივეროსი, – მშობლის და გვარის  
წინაშე უპატიებელი რამ შემეხვათ ბიჭებს,  
– განუდგნენ მამას, ისრები დაუშინეს და  
სასიკვდილოდ გაიმეტეს ივეროსი.

შვილებს გამართობას ცდილობდა მამა.  
მიწიერი ვერ გაბედავდა ამას, ზეციური  
ოლიმპის ბინადარი მიანდა გამოუცდელი  
ერმების მაცდურად.

– მანინც რანი არიან ოლიმპის მკვიდრნი,  
ეჭვობდა ივეროსი, იმათაც არც კარგი გინ-  
დოდეს და არც ცული, არც მოყვრება და არც  
შეცოდება, არც სიცოცხლე და არც  
სიკვდილი. გონით მიუწვდომელია იქაურ ძლე-  
ვაბოსილთა სამსჯავრო, მათი ზნე და წესი,  
სიყვარული და სიძულვილი, სიყვება და  
საქმე. იქნებ დაუძღვრდა მამა-ხვესი და  
ძველებურად ვერ ახერხებს მისით ძალ-  
მოსილი დემონების მბრძანებლობას, ყველა  
თავის თავისთვისაა და თავის ჭიას ახარებს.

იქნებ-არეო, იქნებ-ქირონი, იქნებ-პარისი, – ვერ  
გაერკვია ივეროსი. იქნებ აფროდიტემ დააღვა  
თვალი ჩემს ღამაზე ბიჭებს, გონი დაუბინდა,  
არ ელოდა სადარდო უმადღურობით  
გონწაშლილ მამას. ევლადში ბევრი რამ  
ყოფილა ადრეც, მაგრამ შვილები არ გამს-  
დარან მამის მკვლელები.

დარდისგან გაიტანჯა მამა, მალე  
უზარმაზარი ლოღის ბრწყელ სარეკელზე  
მკვდრის ძილს მიეცა უცხოთგან ოტებული  
ივეროსი.

\* \* \*

ფოთლების მალადი გორაკებიდან  
უზარმაზარმა უსახელომ გამოჰყო თავი და  
ლოღისკენ გაეკანა. ცოტაც და ღიჭის ბუჩ-  
ქები შირვა და ზორბა უსახელო შიშინით  
გაეკიდა წინარეს.

წინარე ქვემდროში ლოღისქვეშა ნაპრაღ-  
ში შესრიალდა, აიფხორა, დაიკლავა და რკი-  
ნის რგოლად შემოეკრა ლოღსა და მასზე მ-  
ინარეს, ჯერ ერთბაშ, მერე ორპირ და  
დაიფხრა.

ზანტად წამოვდა მძინარე, გიზმორა,  
დრმად ჩისუნთქა, ამოსუნთქა, და გობევი-  
დან ხელით მოიშორა უსახელო შუაწილი.  
მერე სწრაფ წამოვდა და გალომდე ჩაიკუ-  
რა უსახელოს შუაწიანი. არ დაცხრა უსახე-  
ლო, – დაიკუნთა, დაბერა წილები, გაიწია და  
ორივე ტერფით ლოღს მიჯაჭვა ჯერ კიდევ  
მძინარე ივეროსი.

ფიცხელ წამოიწია ივეროსმა, მძღავრად  
მოდუნა მუხლი და ჩერანზე შეაგლო მახრ-  
ნობელას სლიპინა მუცელი, მერე გზაზე  
გააცურა. მუცელი; ვერ მოიცილა ბოლომდე,  
– ახამსა და ჭვინტზე შეკავდა უსახელოს  
დადრეკილი წილი.

სრულად წამოვდა ივეროსი, მკლავები  
გაშალა და დაიკუნთა. მახვილი არ ერტყა  
წელზე, ტროასთან გადააგდო იმ მრუმე  
დღეს, როცა იროსმა და აფხაზოსმა ისრები



# ორაბულაბი ოცაბაღეში დაბრუნდებიან

დაუშინეს საკუთარ მამას. უმაღლესად სატყვევარი, რათა შვილებზე არ ეხმარა სატყვევარი.

ფიქრის დრო არ იყო, მეტად დიდი და ძლიერი ჩანდა უსახელო, ასეთი რამ არ ენახა და ვერც წარმოიდგენდა დაბადებით მეომარი. წამიც და წელსა და სიბაზე შემოვლო და კბილებით დაეჭიდა უკნიდან მიპარული უსახელო. მარჯვენა მუშტი ბრძალ მოიქნია ივეროსმა. ტკივილისგან დაიკლაკნა მომხდური, მაგრამ არ მოწყდა ივეროსს, ხამბარად გაიმართა და ზეაუფა ხერხემს, ცოტაც და ხვანასა და ქედზე დაამრგვალა იგი. განზე უტია პირველმაც – გარჯლაში შემოჰყო თავი, წელსა და ბარბაქუდ დაეხვია მეორედ.

უსახელოს თავი მარჯვენა ხელს გულში მოიკლია ივეროსმა, ხახაში შევიდა და გესლენა ამოაგლიჯა. გამწარდა, გადაირია მახრნობელა. მეორე უსახელო იდლიდან შეუძვრა ივეროსს, გასრიალდა, გაიღუნა, გასწორდა და ივეროსის გულბანდი მოიგდო მუცლით და კუდით, მერე კისრისკენ აიწია და კოკორას მიეტანა თავით. ნესტოები დაებერა ივეროსს, დაუძძიდა კულულები, წვერიდან მოსდგამდა სველი, ტკივილებისგან დაედრიჯა პოპორი. მაინც არ კენესოდა ივეროსი, არ თხოვდა შევლას, არც მოელოდა ვინმესგან.

უსახელოთა წილებით მეორე წვივიც დაეხუნდა ივეროსს და ხელ-ფეხიც მიეხლართა ტანზე. მძალად დაბუშტა გულ-მუცელი უხვეულად დაიბაბა ივეროსი და მძლავრი კუნთებით მიაწვა უსახელოთა წილებს, მუშტი ატაკა მუცელქვეშ; წამით გაშემდნენ გაშემდნენ უსახელონი – დაიბაგრა პირველი, ამოტრიალდა სცადა. მიხვდა ივეროსი, იგუდებოდა იგი. ხიფათმა გაამხნევა მეორე – ივეროსის მენჯის დიდი კუნთი მოიგდო კბილებში და ეხებოდა გახსნილ თავისკენ. წამით მოდუნდა ივეროსი და ყელზე შემოეხვია პირველი უსახელო, მეორე კი გენიტალებში წაეტრანა.

მარჯვენა ხელი ზეაწია და შემტყვის კისერს სწვდა ივეროსი, მიიხიდა და ბჭკლებით სცადა მოშობა.

ადრე არ უკუტყუვლა ივეროსი, არც ახლა აპირებდა დასვენებას...

უცებ ტყე გაიპო ჩრდილოდან და აფხაზოსის კულულები დალანდა მამამ. მაღლიანი მხერა მიაპერო ტანწერწერა ემაწვიდა, მაგრამ მუდარად დაეხატა სახეზე და განრიდება ანიშნა. არ განერიდებ აფხაზოსი, მარჯვნიდან მიადგა მამას და უსახელოთა ხლართს. აფხაზოსმა მარჯვენა ხელი გაპყრო პირველი უსახელოს გრაგინილში, მარცხენა შეაშველა მამას.

არ შედრკენ უსახელონი, მარჯვედ ჰიღობდა ორთავე. მახრნობელმა მალე კანკებთ გავაოტეს აფხაზოსი, აშვერაზე შემოურტე ერთი მათგანის დიდი ქვედაწელი. დაიხარა და ერთი ფეხით მიწას მოსწყდა აფხაზოსი, ხატანჯავისგან წაეშალა სახე.

ახლა ხელმაცხენი დაიმსხვრენ ღოდები და ირონოსის თავი დალანდა ივეროსმა. მამის მუდარაზე უკან არ მიიქცა ირონოსი, ღოდზე ახტა და მარცხნიდან მიუდგა მამას.

მარცხენა მკლავქვეშ მოიპყველა ირონოსმა უსახელოს მუცელში და გულდა დაუპირა უსახელოს. გაუჭირდა ირონოსს, ცოტაც და ბარბაქუდით მამის მარჯვენა წვივზე იყო მიბორკილი. არ შეშინდა ირონოსი, – მარცხენა ხელით უსახელოს წილი მოიგდო მკლავსა და იდლიაში.

განერდა დრო და შეიკრა ხუთეული, არავინ ცდილა დასვენებას. გაშემდა ივეროსი, – უსახელომ სახიზრად მიამერა ბიჭებს და ალი მიადრეკა სახეზე. დაიგრინენ და ჩაიკენენ ბიჭები, დაწვლული იმსხვრეოდა მათი ძეგლ-რბილი.

ბიჭი დაადგა იქაურობას. მოიკაკვა, წამით მოდუნდა თავზარდაცემული მამა, – ბიჭების განწირულ თვალებს ხედავდა ირგვლივ. გულთი აახლა ზევს ვედრება. დუმდა ზევსი, არ იყო ნათელი, არ ჩანდა ხსნა. უფრო მიდრეკა ქედი მამამ, ათენას და აპოლონს უხმო საშველად. არც ახლა იყო გზა და ხსნა, იმედი და ხილვა, თითქოს ოლიმპის ყველა ბინადარს დაეხუტა თვალი და დაეწყო სმენა. გაიფურღნენ ბიჭები და ღოდთან გადაცვივდნენ ბიჭები.

განისხსდა ივეროსი, იზმუვლა არაკაცურად, მერე ღოდზე ჩაიკეცა ორივე მუხლით, დაიბერა გულ-მკერდი და მოიგო ძალით ავარდა მაღალ, გაშალა მკლავები... ცოტაც ხიზლით გადახვდა მრავალგან გადაწყვეტილ უსახელოთა გვაშებს. თავადაც დაწრეტოდა ჯანი, ფეხმოკვეთილი ჩაიკეცა მოსისხლულ ღოდზე.

თვალი გაახილა ივეროსმა, პირადმა ეკლო მიწაზე. – უძალი და უსახო. მიმოიხვდა ირგვლივ.

გაგუდული ბიჭები ეყარნენ მიწაზე, ტანჯი და ტკივი შეჰყინვდათ გარინდულ თვალებში.

შეგვარებული წვეილი ჩურჩული შემოესმა ანახლად. ქალი და კაცი ისხდნენ იმ ღოდზე, სადაც გაიმართა ჰიდი.

გაოცდა ივეროსი, ათენა იყო – ყოფის, სიკეთის და სიყვარულის ქალმერთი, ბერძენთა მარადიული მფარველი. წინ მშვენიერი აპოლონი ეჯდა – სიღამაზის და ღირსები მფარველი, მეომართა და ხელოვანთა ქომაგი, უებარი მომღერალი და მუსიკოსი, ქნარი ჰქონდა მკერდს მიდებულად.

ათენა ბრწყინავდა, აპოლონი ელვარებდა. ნეტარი ჩანდნენ ერთობით, ტკბებოდნენ სიახლოვით და თანხმობით.

სასწაული ხდებოდა დღემიწაზე. – უცნაური და საოცარი ძალა და გონი ზევსის, – ჯერ მოაწონა აპოლონს თავისი უსაყვარლესი და უმშვენიერესი ასული ათენა, შობილი მისი თავიდან და ძალმოსილი მისით, შემდეგ მიწიერთა შორის გამოსცადა იგი და მოკვდავთა ჰიროკული პატივისთვის ოლიმპიდან განაძევა დიდხანს, ფიქრობდა თავისთვის ივეროსი.

– ზევსის სისხლია აპოლონიც, ერთ დროს რჩეული მისი, მაგრამ უდრეკი და მეტად თავისუფალი, მოკვდავივით მოუხვეწარი, ამიტომაც განარდა იგი ყოვლისშემძლე ოლიმპს და მიწაზე მიუჩინა სამკვიდრო, ბჭობდა თავისთვის აპოლონის ყოფილი ქურუმი და ძველი მეგობარი.

– მოგვიახლოვი მეგობარო ჩემო, ხელით ანიშნა აპოლონმა. ძალუმაღ წამოდგა ივეროსი, მიდგა მისგან ძლიერთა ამა ქვეყნისათა ხმელზე, ცახა შინა და ზღვასა ზედა და მუხლებზე დაეცა მათ წინაშე.

– შენ მთორეულე მე ტროას, ჩემო რჩეული ქურუმი, ნაკეთი ცხენის ჩემი საიდუმლო ფარულად გაანდო ჩემს მეგობრებს – ტროას დამცველებს, იძულებად მოსისხარო ბერძენთა და ამიტომაც, შენი უგუნურების სასჯელად, შეიღობე აგიმხედრე მე.

– შენივე თავსებულებით და ჩემი იმედით ათინას ტაძარში ძალით შეწყვილდი ღმერთქალის მხვევალ შერას და დაარღვიე ქორწინების წესი წმიდა, რითაც განარისხე ქალწულთა მფარველი ათინა და მიოელი ოლიმპის სამკვიდრო;

– ამპარტავნობით და უმადურობითა შენითა დამკარგე მე და დაკარგე ათენას წყალობა, ამაღ მოვივლინეთ გველები მძინარეს;

– და მაინც გაიმარჯვე შენ, ამქვეყნიერთა ღმერთი ივეროს, რადღაც ზევსის რწმენა შენში და ულევი ძალა შენი მიწისა. უფრო დიდი და უფრო მშვენიერი შერკინება მიწიერთა და ზეციერთა, რაც ამ ქვაზე ვიხილეთ მე და ათინამ, ადრე არ უხილავო ოლიმპის ბინადართ, ამიტომაც მიგიტყვეოდა მოვანიჭეთ სამარადისო უკვდავება შენ შენს მოდგმას;

– აწ და მარადის არა ასწით თავი შენი ზევსის ნებასა ზედა და ცალკერმ არ განიკითხო არც მეგობარი და არც მტერი შენი, რამეთუ უნაპიროა გონი ღმერთის, საქმენი მათი, ვნებანი მათი. იყავ ფრთხილი და გონიერი, უწინარ იცოცხლე შენთვის და შენი სისხლისთვის, მახვილით დაიკვირ სამკვიდრო შენი და წესი შენი, იმრავლე ერთგულნი და მიუტყვე ორგულთ, ძალა ერთობისა წაუძღვარე ჯიშსა და ჯილაგს.

თქვა აპოლონმა და მომღმირ ათენას გადახვდა.

ატელაშუნდნენ ანგელოსის ფრთები და ზეცაში გაუჩინარდნენ ზეციერები.

აფხაზოსმა და ირონოსმა ხელი შეაშველეს ნახულისგან ფეხმოკვეთილ მამას.

არც არავფერი მომხდარა თითქოს – მწვანე მთები და მყინვარები მოჯარულან ირგვლივ, მშვილად ფშვინავენ და წაწაწკარებენ რუევი და ნაკადულები, ჰიკიკიკებენ ჩიტები, სიყვარულობენ ირმები, ანცობენ ქურციკები, ძველბურად ფუსფუსებენ შრომით წელში გაწყვეტილი ჰიანჯვლები.

იყო მიწიერთა უკვდავება – მამისა და შვილების ერთობა, სიცოცხლის გაგრძელება და მიწიერი სამთხე, და არ იყო სისხლისმიერთა შორის შიში და უნდობლობა, მტანჯავი სირცხვილი და უხერხულობა.

**ნანა-ჩხენი, აფხაზეთი**  
მშვენიერი ბუნების მომხერალო უცებ შეგვეხო მხახვრალი ხელი სიკვდილისა. ცივმა ძიღმა ორივეს თვალები დაგვიხუჭა.

**ერნესტ რენანი**  
ყოველი ქვეყანა, თავის თავის წინააღმდეგ დაყოფილი, გაუდაბურდება და ყოველი ქალაქი ან სახლი, რომელიც დაიყოფა თავის თავის წინააღმდეგ, ვერ გაძლებს.

**მათ. სახარება, 12:25**  
ურთიერთ დაპირისპირებულ მხარეებად დაყოფილი სახლი დაინგრევა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს სახელმწიფო მუდამ ვერ იქნება ნახევრად მონათმფლობელური და ნახევრად თავისუფალი.

**აბრაამ ლინკოლნი**

დელას რომ ჰკითხო, შვილებიდან უფრო რომელი გიყვარსო, ხელს გამოვიშვერს და გეტყვის, თქვენი თითებიდან რომელი გიყვარო უფრო?

ქართველებსა და აფხაზებს რომ მხოლოდ ერთი მშობელი, ერთი გამწენი დედა გვეყავდა, ამას, სხვას რომ თავი დავანებოთ, დედის სახელიც ადასტურებს: „ნან“ – ქართულად, „ან“ – აფხაზურად. რა არის აქ კიდევ საეჭვო?

რომელი ჩვენთაგანი ბავშობაში ან ახლა არ ამბობს „ნან“ ან „ან“ თუ „დედა“?

რა თქმა უნდა, შვილები, თვით ტყუპებიც, როგორც წესი, შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან იერით, მაგრამ მსგავსება ყოველთვის უფრო მეტი აქვთ. ეს ბუნების უნივერსალური კანონია.

უცხოელები, რომლებიც აფხაზეთში ჩადიან და სამეგრელოს და იმერეთის გავლით თბილისში ბრუნდებიან, აცხადებენ, რომ მათთვის თითქმის შეუძლებელია ერთმეორისგან ქართველების და აფხაზების გარჩევა; ხოლო ისინი, რომელთაც აფხაზეთსა და სამეგრელოში თვითონ უწევთ მუშაობა, განსხვავებას ვერ ამჩნევენ ხოლმე. მაშ, რა დაგვემართა?

დედის მეტისმეტმა სიყვარულმა და ქვჭმა დაგვაბრძოლა ორივე, სხვათა წასისინებამ დაგვიბრა ხელი, დაგვიბინდა გონი, დაგვიხშო ნათელი და ჩაგვყარა ღამის უბრატიველ ცოდვაში.

ან-ს მინდა მოვეფერო, კარგა ხნის უნახავ ნანას, შენც მინდა მოვეფერო, ჩემი და შენი დედის ღვიძლო შვილო, შენს გულგონობას, სიფიცხეს, ვაჟკაცობას და შეგახსენო, რომ როდესაც მოვიწვია ცხივრებამ და რომ, ჩემი ღამაში და უწმინდესი ან-ის სხეულზე ბევრს უჭირავს თვალი.

ცამეტე წლის განშორება ცოტა არ არის, ნანა, მაგრამ შენ ჩემში ისეთად დარჩი, როგორც იყავი, თუცა, ომმა უამრავი ნაიარევი გაგინჩა, დარდის და ტკივილებისგან ჭაღარამ იმლაგარა შენს გიშრის თმაში, ნათქვამა დაგისერა შუბლი და დაწვები. რჩეულ და უდანაშაულო შვილთა ძაძებმა მოგაბერეს, ნანა.

შენ მაინც ყველაზე ღამაში, ყველაზე კეთილი ხარ!

განგებამ უხვად დაგაჯილდოვა. სამოთხედ გაშლილხარ კაკასიონის დიდი მთების მყინვარებიდან მშვიდ და ცისფერ ზღვამდე, ზღვა კოდინს და ნახად ეფერება შენს სულსა და სხეულს, დედა!

მათა ჯარი, მყინვარებით განათებული, მზის სხივებზე ელვარე სპეტაკი მწვერვალები სამოფო გვირგვინად გადაგას; იქიდან წამოხდები ცვარი შენი თვალგებინანაურ ცრემლს უერთდება, გიშრის ნაწნავებს ჩამოჰყვება დაბლა, მრისხანებად იქვეც ტკივილიანი იარების ველებზე და შენი დარდი დაქანცული ზღვას შეეინიწება. საოცრებაა მზე შენი, ცა შენი, ზღვა შენი, ნან!

როგორ და საიდან მოიტანე, როგორ მოახერხე ამდენი ტანად ღარი და სპილომუცელა პალმის, თეთრკანა ევალიპტების გამოზრდა, ღვთიური წალკოტის შექმნა, ცირტუსოვანთა, ჩაისა და ვენახების, კივისა და ფივისო, ხურმისა და დაფინის, ვაშლისა და მსხლის, ტყელებისა და ქლიავის, რკანისა და გერანის ასე ხავერდოვანი შერწყმა, დედა!

საიდან ამდენი სიღამაზე, რომელმა მზე-ჭაბუკმა შეგმოსა, ან! ან როგორ მოახერხე ბიჭინთვის ედემის დღემდე შენახვა, თეთრი და წითელი მაგნოლიების მოვლა-გახარება ყველა ქართველისა და აფხაზის ეხო-მი-და-მიში. ძველ დროშიც გიჭირდა უთუოდ, თორემ რად დაგტკინებოდა მთასა თუ ბარში ნანგრევებად მიმოფანტული ამდენი კოშკი და ციხე-ქალაქი, უფლის სადიდებელი ამდენი ეკლესია და ტაძარი, თანაც შენეული სამოთხის ყველა კიდეზე!

ნეტავი ვინმეს თუ აქვს კიდევ რიწის ტბის, ათონის მღვიმეების, გავრისა და სოხუმის სანახების, კოდორის სვანეთის, გალის ზღვის, ენგურბაღოვანის მსგავსი და დარი რამ.

ნეტა თუ არის კიდევ სადმე შავი ზღვა ასე ღამაში, თოლიები ასე თეთრი, ნავსაყუდლები ასეთი მყუდრო და თბილი, დედა!

მიიდან ზღვამდე, რამდენი ქალაქი და სოფელი, პარკი და სკვერი გიმუნებია, რამდენი წითელქუდიანი, ქათქათა და ვარდისფერი სახლი აგებია, ნან! რა ღამაშია შენი პირმშოთა სადგომები, რა უხვია მათი ეხო-კარი, რა მშვენიერი მათი შვილები და შვილიშვილები...

როგორ მოახერხე, დედა, გაგვიჩინა ამდენი ღომეული კაცი და თვალხატული ასული, რომლებიც უხსოვარი დროიდან თავს სწირავდნენ შენთვის და ერთმანეთისთვის, სასიკვდილოდ ერკინებოდნენ მომხდურ ყიფიას თუ ხაზარს, რომაელს თუ ბიზანტიელს, არაბს თუ მონღოლს, თურქს

თუ ხაზარს, თურებს თუ წითლებს, მარბიელს თუ ჩახაფრებულს, რომელთაც, ვინ უწყის, რამდენჯერ არ სცადეს საქართველოსა და საკუთრივ აფხაზეთის მიტაცება და გაბახება.

ჰოი, რამდენმა დასდო თავი შენთვის, მამულსთვის ნანა, ამიტომაც გაუღწიოდა აფხაზეთის და საქართველოს ყოველი გოჯი ძმათა სისხლით და ცრემლით, დედა!

ამიტომაც მეტობენ ალბათ, აფხაზეთში წითელი და მეწამული ყვავილები, ამიტომაც, წესი და რიგი მუდამ შეკაზმული ცხენი, მშრალი თოფისწამლი, ბაშლივი და მთრახუნავორი, თოფი და ხმაღ-ხანჯალი ხალათ-ქამარი შენს ყველა კეთხუ-კუნტულში, დოლი და ჯირითი.

აფხაზეთს სულის, სულიერების ქვეყანას ეძახიან ოდიოგან; ეს შენი სულია ან! სული კი კეთილშობილება, გონიერება, სიბრძნე, მიხვედრილობა, რეალობის განცდაა, რომლის გამოც ყველა შენი შვილის კარი სტუმართმოყვარეობის უბადლო მადლით იღება, ჰირსა თუ ღვინში ზეობს, ჩვენი არსობის ნაწილად ქცეულა, დედა!

დედამ გვაწავლა ეხო-კარის ერთხარად მოწყობა. სამხადს – ოდა, სტუმრის მისადები და მოსასვენებელი უნდა ამშვენებდეს, ოდას – დიდი, გრძელი და განიერი ეხო ცხენის საჭენებლად, ღვინსა თუ ჰირსში უამრავი ხალხის მოსაფერებლად!

დედამ გვაწავლა ერთმანეთის მოსმენა და სიყვარული, უფროსებისადმი მოწიწება, შურისა და მტრობის დაუშვებლობა. ან-მა ავეიცრდა მძებს ერთმანეთის მტრობა, რადგანაც ძმათა მტრობას უთუოდ მოჰყვება ერთიანი სახლის დანგრევა, ოჯახის განადგურება.

დედამ გვაწავლა აფხაზეთელებს მამულის დაცვა, მაგრამ არა ქედმაღლობა, მოყვანის სიცოცხლისა და ღირსების არაფრად ჩაგდება, მისი ქონებისა და სამკვიდროს დაუფლება, სხვის ცოლსა და ახლობელზე თვალის დაჭერა. ამ ცოდვებ-სისთვის დედა, ოლორის წმინდა გიორგის ეკლესიაში სასწაულმოქმედი სასწორი დაგვიდგა, რომლის განაჩენს ვერავინ და ვე-ღარასოდეს გაექცევა.

დედამ ანდობი დაგვიტოვა – იგი მოკვდებოდა მაშინ, როცა მისი შვილები სამარადსამო გახდებოდა ერთმანეთის მტრები, გაიყრებოდა, დედაშვილობასა და ახლობლობაზე იტყვიან უარს. აფხაზ და ქართველ მძებს, როგორც მთელი პლანეტის სხვა ხალხში, ადრეც ჰქონიათ გაუგებრობა, მაგრამ წყენას მისივე შვილები და ახლობლები, მორღეები აგვარებდნენ ხოლმე, ამიტომაც გამოიარა ამ ძმობამ და დედაშვილობამ ისტორიის საშინელ კამათა ქარტყილები და დღემდე გადარჩა, გადარჩა უფლის ნებით ხელდასმული საერთო სისხლი, ერთიან კოლხურ სამყაროში დაბადებული ერთსახა წესი და რიგი, რომელსაც დროთა სიავის გამო ბევრი უცხოელები შეეერა, მაგრამ ჩვენამდე შეურყენებლად მოადწია.

აფხაზეთი ძმათა საერთო სახლი, დიდი დედის უწმინდესი სახლია, ამიტომაც გვეყვარება დედა, რათა შეგვიდრეთ, ვიკაროთ რაც იყო, დასრულდეს გერების ძებნა, ძმობისთვის უკადრებელი

დასმენები, უცხო თესლისა და ჯილაგის ხმობა.

დედა გვეყვარება არ მოვწყდეთ ძირ-მაგარ ფეხვებს, ქრისტეს დაკვირვებულ სახლებს ურღულები აფხსნათ. ან-ი გვეყვარება არ დაგვიწვიოთ გარდასულ წინაპართა სულეთის მკვიდრნი: აირგი და აჯგვიპშარტყისა და ნადირობის, აიტარი-ბუნების და განახლების, არფი-მისისხანე მოვლენების, აშხვა ინცვახუ-მითის და მდელისი, ძიღლი-წველების და მინარეთა, მცენარეთა და ყოველთა ცოცხალთა, ერთი-ქალთა გამგებელი, შაშვი-მამაკაცთა დამრიგებელი და მფარველი სულელები და ვილოცოთ, შეგთხოვთ მათ მოწყალება და პატივს, რადგან დედისთვის მიუღებელია განანაგებულები და გადამწვარი აფხაზეთი, გაძარცვული სოფლები და ქალაქები, ცეცხლში დათქმული და თვალთა საბუდარივით შავად დარჩენილი ეხო-კარები, მტოვებულები სახლები, ეკაღბარდში გახვეული, გავერანებული ველ-მინდვრები და ნასახლარები. დედა, ან, ნანა!

გვეყვარებოთ, შეგვეწვიო ყველა აფხაზეთელს, უფრო მაგრად ავეიწვი ყურები, გავგინათო გონება, გვანახე საკუთარი თავი საკუთარი თვალებით, რათა მივხვდეთ თუ სად და როგორ გაწვდა მშობლიური ძაფები, სადაა გზა და ხსნა ერთმანეთის და უსაშველოდ მონატრებული დედის გადასარჩენად.

**რაფიელ გელანტი**  
30 სექტემბერი, 1994 წ.

# თურქიზაციის საფრთხე და გრანდიოზული ქართული მითი

ჩვენი სახელოვანი მომღერლის, პაატა ბურჭულაძის რეპერტუარში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პარტია ნაზუკო. მაგრამ დღეს, როდესაც ნაზუკოს ახსენებენ, ოპერას ან ბიბლიურ გმირ ნაზუკოდონოსორს კი არ წარმოვიდგენთ, არამედ გაზსადენს, რომელიც შენდება თუ არ შენდება, ვერავის გაუგია და რომელსაც საქართველოზე უნდა გაველო.

ამას წინათ რიხით გვაცნობეს, რომ ბაქოში სამმა პრეზიდენტმა – სააკაშვილმა, ალიევმა და რუმინეთის პირველმა პირმა ხელი მოაწერეს პროექტს, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანის გაზი საქართველოს გავლით ფოთში ჩავიდოდა, იქ საცავი აშენდებოდა და შემდეგ ტანკერებით რუმინეთში გადაიტანდნენ "მთელი ვერობისათვის". ეს ცოტა რთულად განსახორციელებელი პროექტი მეორე დღეს ქართული ტელეთერიდან გაქრა. არადა, ასეთ საპაირო პროექტს ჩვეულებრივ მთელი კვირა ატრიალებენ ხოლმე.

საქმე ისაა, რომ იმავე დღეს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა და ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ყაზახური გაზის უკრაინის გავლით ევროპისათვის მიწოდების შესახებ. ამით ბაქოს ხელშეკრულებას აზრი დაეკარგა. გაუგებარია, იცოდნენ კი ამ სამმა პრეზიდენტმა ასტანის შეხვედრის შესახებ და, თუ იცოდნენ, დროს რატომ კარგავდნენ უაზრო პროექტზე?

ნაზუკოს პროექტს ჯერ კიდევ 2002 წლის თებერვალში ვენაში ჩაეყარა საფუძველი – კასპიური გაზი აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან და, შესაძლოა, ირანიდან უნდა მიეწოდებინათ ევროპისათვის. ვინაიდან იმავე სადამოს ხუთი ქვეყნის პირველი პირი (თურქეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და ავსტრია) ვენის სახელმწიფო ოპერის თეატრში ჯუზეპე ვერდის განთქმულ ოპერას დაესწრნენ, სახელწოდება ნაზუკოც ამიტომ მიეცა. 2008 წლის თებერვალში ამ პროექტს გერმანიაც შეუერთდა.

ნაზუკო – ეს სახელი დღეს, ალბათ, ყველა ქართველმა იცის. მაგრამ მე ამოვიღე ამ პროექტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და, ჩემდა გასაოცრად, ვერსად საქართველოს ხსენებას ვერ მივაგენი. იმისათვის, რომ ტენდენციურობა არ დამწამონ, ამიტომ მკითხველს ამ მილსადენთან დაკავშირებულ სრულ ინფორმაციას მივაწოდებ.

წელულს, 6 სექტემბერს, ბრიუსელში ხელი მოეწერა "სამანდატო წერილს", რომელსაც ხელს აწერენ EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი), IFC (ევროპის საინვესტიციო ბანკი) და ნაზუკოს კომპანია. ამ მანდატით სამ ფინანსურ ინსტიტუტს ევალება, მოიძიონ ოთხი მილიარდი ევრო ევროპის ბაზუმგარტენტან (ავსტრია) მილსადენით დაკავშირებისათვის.

2008 წლის თებერვალში აზერბაიჯანმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომ ის გაზის წარმოებას შემდეგ ხუთ წელიწადში ორმაგად გაზრდიდა, რათა იგი ამ მილსადენისათვის მიეწოდებინა. ლაპარაკია შაჰ-დენიზის საზადოზე. თურქეთის პრეზიდენტმა 2009 წლის თებერვალში განაცხადა, რომ ის ამ პროექტში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ მას ამ მილსადენით გატარებული გაზის 15% დარჩება, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია კონსორციუმის წევრთა შორის და პრაქტიკულად ჩაშლის პირას დააყენა პროექტი.

ნაზუკოს პროექტი 2009 წელს ორჯერ განიხილეს – აპრილში ენერჯეტიკულ სამმიტზე, სოფიაში (იქ სააკაშვილი რომ არ შეუშვეს, დაბოლმე ბოდრუმში გავარდა – ყველას გვახსოვს ეს ფოტოები) და მაისში პრაღის სამიტზე, რომელსაც ანგელა მერკელი უძღვებოდა (და ერთი ფოტოც არ გვაქვს იმის სანახავად, ხელი მაინც თუ ჩამოართვა მან დაუპატიჟებლად ჩასულ სააკაშვილს).

კონსორციუმის ხუთივე ქვეყნის პრემიერ-

მინისტრმა მთავრობათაშორის საბოლოო ხელშეკრულებას ხელი 2009 წლის 13 ივლისს მოაწერა. ამ ხელმოწერას ესწრებოდნენ ევროკავშირის პრეზიდენტი მანუელ ბაროზო და ამერიკის კონგრესის წარმომადგენლები. ჩვენმა ტელევიზიებმა გვიჩვენეს, რომ იქ იმყოფებოდა მიხეილ სააკაშვილიც, მაგრამ სამიტის სტენოგრამაში ის არასად არ არის დაფიქსირებული – ცხადია, კვლავ დაუპატიჟებელი სტუმარი იყო საქართველოსთვის თავის მოსაჭრელად!!!

3,300 კილომეტრის სიგრძის მილსადენი ევროპიდან თურქეთის გავლით შევა ბულგარეთში, იქიდან რუმინეთისა და უნგრეთის გავლით მივა ავსტრიის ბაზუმგარტენტში. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ისაა, რომ, ამ დოკუმენტების მიხედვით, ევროპაში ბაქო-თბილისი-ევროპის მილსადენი კი არ უერთდება, როგორც ჩვენი პროპაგანდა გვარწმუნებდა, არამედ თაბრიზ (ირანის აზერბაიჯანი)-ანკარის გაზსადენი, ასევე, სამხრეთ კავკასიის გაზსადენი, რომელიც თურქმენეთიდან კასპის ზღვის სამხრეთით გაივლის.

გაზის პოტენციური მიმწოდებლები არიან თურქმენეთი, ყაზახეთი და ერაყის ქურთისტანი. ირანმაც გამოთქვა მზადყოფნა, მაგრამ ამერიკა და ევროკავშირი წინააღმდეგი არიან. ასევე, პროექტს უერთდება ევროპტეც არაბული გაზსადენის საშუალებით. ევროპაში კი პოლონეთმა გამოთქვა ახალი მილსადენის აგების სურვილი ბაზუმგარტენიდან პოლონეთამდე. ყველაზე მოულოდნელი აღმოჩნდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, კუმსერის განცხადება, რომ "რუსეთის სრული უფლება აქვს, შეუერთდეს ნაზუკოს პროექტს". არადა, რუსეთს თავისი პროექტი აქვს სახელწოდებით "სამხრეთის ნაკადი", რომელიც, ასევე, თურქეთთანაა დაკავშირებული.

2009 წლის 6 სექტემბერს რუსეთის პრემიერ-მინისტრი პუტინი თურქეთში ჩაიდა და იქ თურქეთის პრემიერთან ერთად ხელს აწერს ხელშეკრულებას "სამხრეთის ნაკადის" მილსადენის შავი ზღვის ფსკერზე თურქეთის ტერიტორიულ წყლებში მშენებლობის შესახებ.

მაგრამ ნაზუკოს პროექტთან დაკავშირებული ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ ვირტუალურ სფეროშია: ფინანსები ჯერჯერობით მოძიებული არ არის. გარდა ამისა, რუსეთის გაზპრომი აპირებს შაჰ-დენიზის მთელი გაზის შესყიდვას, ხოლო ერაყის ქურთისტანის გაზის მიწოდების საკითხი გაუგებარია. სამხრეთ კავკასიის მილსადენი, რომელიც კასპის ზღვის სამხრეთით უნდა აშენდეს, ირანის კეთილ განწყობაზე დამოკიდებული და ა.შ. და რაც მთავარია, წინა კვირაში ასტანაში ხელმოწერილი ხელშეკრულებით, უკრაინას აღარ ექნება პრობლემა, შეუფერხებლად მიაწოდოს გაზი ევროპას. არადა, სწორედ უკრაინის ტრანზიტის არასაიმედოობის გამო მიეცა ნაზუკოს პროექტს ასეთი დიდი სტატუსი. ხოლო საქართველოს სატრანზიტო ფუნქციები ენერგომატარებლების სფეროში სააკაშვილის 2008 წლის ავანტიურამ დაასამარა.

ამავე დროს სტამბულში შეიკრიბა თურქულენოვან ხალხთა სამიტი. მას ესწრებოდნენ ხუთი დამოუკიდებელი თურქულენოვანი სახელმწიფოს პირველი პირები (არ ესწრებოდა მხოლოდ უზბეკეთი). შეიქმნა ამ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭო, რომლის გენერალურ მდივნად არჩეულია ჰალილ აკინჯი (ის იყო საქართველოში ეუთოს პირველი მისიის ხელმძღვანელი, ხოლო შემდეგ თურქეთის ელჩი რუსეთში). ილჰამ ალიევის სიტყვებით, "ჩვენი ძალა ჩვენს ერთობაშია!"

რაც უნდა მოულოდნელი იყოს, თურქულენოვან ქვეყანათა თანდათანობით გაერთიანების იდეა მიდის არა თურქეთიდან, არამედ უფრო ყაზახეთიდან ან აზერბაიჯანიდან. ამ იდეას კი დღეს დიად უჭერს მხარს ამერიკა.

პირველად "დიდი თურანის" იდეა ჯერ

კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლში გაახშირნა ბაქოელმა, ეროვნებით აზერბაიჯანელმა ინტელექტუალმა. მას ცარისტულმა რუსეთმა დაუჭირა მხარი. შემდეგ ამ იდეას მხარს უჭერდა ბოლშევიკების ეროვნებათა საქმეების მინისტრი იოსებ სტალინი, რომელიც ფიქრობდა, ამ გზით გაებოლშევიკებინა თურქეთი და ახალ საბჭოთა იმპერიაში შემოეყვანა. ბაქოში 1918 წლის ნოემბერში სტალინი მუსლიმან-კომუნისტების კონგრესზე ამბობდა: "ჩვენი მიზანია, ხიდები გავდოთ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და შევქმნათ ერთიანი რევოლუციური ფრონტი". ამავე დროს ის კატეგორიულად გამოდიოდა პან-ისლამიზმის იდეის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა "რევოლუციურ ნაციონალიზმს". ასევე იყო დაფიქსირებული კომინტერნის ტაქტიკა აზიაში აღმოსავლეთის ხალხთა კონგრესზე ბაქოში. საბოლოო ჯამში ბოლშევიკების მიზანი იყო, ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე დაეფუძნებინათ "თურქ ხალხთა ფედერაცია".

მაგრამ თურქი ქემალისტები თავიდან პანისლამური გაერთიანების იდეით იყვნენ შეპყრობილი და ეს ეთნიკურად დაყოფილი ისლამური სამყარო მათ არ აწყობდათ. ამიტომ ბოლშევიკები ახალ ტაქტიკაზე გადავიდნენ – მათ დაიწყეს თურქულენოვან ხალხებში "ავტოქტონურობის" იდეის დანერგვა, ვითომ ისინი მონღოლეთის სტეპებიდან კი არ იყვნენ მოსული, არამედ ოდიტგან იმ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ. მაგალითად, მეზობელ აზერბაიჯანში გაავრცელეს იდეა, რომ ისინი თურქები კი არ არიან, არამედ მკვერი ალბანელების შთამომავლები (ამას შეეწირა ქართული ეკლესიები საინგილოში, რომლებიც ალბანურად გამოაცხადეს). თუ თურქები აღიარებენ, რომ ისინი იმ ტერიტორიაზე მისული ხალხია, აზერბაიჯანელები ამას არ აღიარებენ. ბოლშევიკები შეეცადნენ, ამ ქვეყნების სალაპარაკო ენა თანდათანობით დაეცილებინათ თურქულსაგან და თითოეულს განსხვავებული გრამატიკაც კი შეუქმნა.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კვლავ ალაპარაკდნენ პან-თურქიზმის იდეის აღორძინებაზე და პირველი აზერბაიჯანის პრეზიდენტი გეიდარ ალიევი იყო. მას ეკუთვნის გამოთქმა – ერთი ერი, ორი სახელმწიფო! მაგრამ თურქეთი ევროკავშირში გაწევრებაზე იყო ორიენტირებული და ჩამორჩენილ და ღარიბ საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთიანების იდეა არ ხიბლავდა.

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა

საკაშვილის აგვისტოს ავანტიურის შემდეგ. თურქეთი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ევროკავშირს არ სურს, თავის ტერიტორიაზე უვიზოდ გადაადგილებისა და დასახლების უფლება მისცეს 70 მილიონზე მეტ მუსლიმანს. ამიტომ მან, პირველ ყოვლისა, სამხრეთ კავკასიისა და მთავრო თავისი ყურადღება, ხოლო შემდეგ თავისი "მძანი" გაიხსენა ცენტრალური აზიიდან, სადაც ასეთ გაერთიანებაში თურქეთს უპირობო ლიდერის პოზიცია გარანტირებული აქვს.

საინტერესოა, რომ სწორედ ენერგოპროექტები აქცევს თურქეთს რეგიონის უპირობო ლიდერად. აქ კი ჩვენ ვაწყდებით ახალ პროექტს, რომელიც სააკაშვილმა ცოტა ხნის წინათ გაახშირნა – აზერბაიჯან-საქართველოს კონფედერაციის შესახებ. ცხადია, რომ ასეთი კონფედერაცია, თუ კი ის ოდესმე შეიქმნა, შემდგომში თურქეთის მიერ იქნება ჩაყლაპული. ამავე დროს კი ის საკომპენსაციოდ მესხეთ-ჯავახეთს სომხეთს დაუთმობს. ოღონდ ესეც სათუთა, რადგან შეიძლება თურქეთი იმდენად გაძლიერდეს, რომ მან კვლავ ახალციხის საფაშოს აღდგენა მოინდომოს იმავე საზღვრებში, როგორშიც ის იყო, ვიდრე რუსი გენერალი პასკევიჩი მას არ წაართმევდა 1829 წელს.

დღეს თურქეთში ორი მიმართულება (პანისლამური და პანთურქული) ეჯახება ერთმანეთს იმ ფონზე, რომ პროევროპული და სეკულარული ძალები დამარცხებას დამარცხებაზე იღებენ: ხელისუფლება, როგორც ჩანს, უფრო პანისლამურს უჭერს მხარს, ცდილობს რა, ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ქვეყნებში გააძლიეროს თავისი პოზიცია, რაც არც თუ ისეთი პოპულარობით სარგებლობს ამ ქვეყნებში; მაგრამ თურქულენოვანი სახელმწიფოები მასზე ზეწოლას აძლიერებენ და ლიდერის პოზიციას სთავაზობენ. ამ დროს კი ყველა ენერგოპროექტებით ევროპა უკვე არა იმდენად რუსეთზე, არამედ თურქეთზე დამოკიდებული ხდება. თურქეთი ასევე დაბალანსების სახით სტრატეგიულ პარტნიორობას სთავაზობს რუსეთს, რათა ახალი სლაფურ-თურქული ღერძი შეიქმნას.

რომელ მხარესაც არ უნდა წავიდეს თურქეთი, ჩვენ მაინც გასრესილი აღმოვჩნდებით ან ისლამურ, ან თურქულ სამყაროში. ეს კი ჩვენ სწორედ იმ ეპოქაში გვაბრუნებს, რომელშიც ვიყავით, ვიდრე სახელოვანი მეფე ერეკლე მეორე სიბერეში თავის ცნობილ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, რუსეთისათვის პროტექტორობის თხოვნის შესახებ.

იქნებ სააკაშვილს სწორედ ეს აწყობს?

**"ბაია" ფეხბურთელებმა დატოვეს**

როგორც საქინფორმისთვის გახდა ცნობილი, ორი დღეა, რაც ზუგდიდის "ბაია" ("მგლები") ფინანსური პრობლემების გამო ყველა ფეხბურთელმა დატოვა. როგორც ფეხბურთელები ამბობენ, მათ პრემიები და ხელფასები აქვთ აუღლებელი.

გია მეგრელაძე, "ბაიას" ფეხბურთელი: „ყველა ინდივიდუალურად ვვარჯიშობთ. რა იქნება და ვითამაშებთ თუ არა მომდევნო ტურს, ორ-სამ დღში გაირკვევა. კი გვპირდებიან, რომ ყველაფერი მოგვარდება“.

გუნდის მთავარი მწვრთნელი ელგუჯა ქომეთიანი კი სხვა სურათს გვიხატავს: „ორ-სამი დღე დაგვიანდა ხელფასი, თორემ ისე დავალიანება არ აქვს გუნდს სახელფასო. პრემიებია დასარიგებული მხოლოდ. ბიჭებმა თქვეს, რომ არ ვივარჯიშებთ რამდენიმე დღეო. მწვრთნელთა შტაბი რჩება ჩვეულებრივად გუნდში და მზად ვართ, ვარჯიშების ჩასატარებლად. ზუსტად როდის შევიკრიბებით, ვერ გეტყვით, შეიძლება ხვალაც დაბრუნდნენ ფეხბურთელები. ერთი, რაც მინდა ვითხრათ, ის არის, რომ გუნდი არავითარ შემთხვევაში არ დაიშლება“.

ვაქტია, რომ უსახელო, უსპონსორო, უპრეზიდენტო გუნდი ახლა უკვე ფეხბურთელების გარეშეც დარჩა.



# ივანე ჯავახიშვილი — ქართველ ერის ისტორია

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულხანი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ შეტანილი საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს გაუწევთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.

ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გახეივნილი "ილორის" მკითხველს.

ქართველ ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის, ძველ, წარმართობის დროინდელ, ქართველების მთავარ ღვთაების, მთავრის, ადგილი უკავია.

საკმარისია სტრაბონის აღწერილობის ერთი ნაწილი, რომელიც აღბანელთა სარწმუნოებას შეეხება, კახეთის განთქმულ თეთრ-გიორგობას შევადაროთ, რომ ეს აზრი სრულყოფილი ცხადი და ჭკუმაბრტევი გახდეს; თავის გეოგრაფიაში სტრაბონი ამბობს:

„აღბანელინი დემეტრესავით თავიანთსა სცემენ მხესა ზევსს და მთვარეს, მეტადრე მთვარეს. მთვარის საყდარი იბერიის მახლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ ყველაზე უფრო პატივცემულ კაცად ის ითვლება, ვინც ტაძარს ემსახურება; იგი დიდსა და მჭიდროდ დასახლებულს ხატის მამულს განაგებს და ხატის ემების უფროსად ითვლება, რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებს ხოლმე; იმას, ვინც მეტად ატყუებული ტყუილი მარტოა დახეტიალობს, ქურუმები დაიჭერენ, კისერზე ჯაჭვს დაადებენ და ერთის წლის განმავლობაში ზვარაკად კარგად ასუქებენ ხოლმე; მერე მას მირონცხებულს სხვა სამღვთოებთან ერთად დემეტრის მსხვერპლად შესწირავენ ხოლმე. მსხვერპლად შეწირვა ამხიარად იცინან: ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჩვეულებრივ ლახვარის საშუალებით იციან ხოლმე. ერთი კაცი, რომელსაც ამგვარი ლახვარი ახარია, ხალხიდან გამოვა და ხერხიანად ლახვარს გვერდით შიგ გულში ჰკრავს ხოლმე. როცა ლახვარ-ნაკრავი მსხვერპლი დაეცემა მიწაზე, ქურუმები სხვა და სხვა ნიშნების მიხედვით მკითხაობენ და საჯაროდ ხმა-მადლა აცხადებენ ხოლმე, როცა გვამს ერთს დანიშნულს ადგილას მიიტანენ, ყველანი თავიანთ თავის განსაწმენდად ფეხს დაადგამენ ხოლმე“ (Geographica, lib. XI. cap. III, 7).

აღბანიის ერთი ნაწილი, სახელდობრ იბერიის მოსამზღვრე ადგილი, ქართველ ერის მოდგმით იყო დასახლებული. სტრაბონი ამბობს, რომ აღბანიდან იბერიაში მიმავალი გზა უწყლო და უსწორ-მასწოროდ კამბეჩიანზე ძვეს ( იბიდ. ლიბ. XI, ცაპ. III, 5). ის მთვარის საყდარი, რომელიც გამოჩენილ გეოგრაფის სიტყვით იბერიის სამზღვარზე მდებარეობდა, უნდა სწორედ კახეთში ყოფილიყო. უეჭველია, ეს ტაძარი უმთავრესი, განსაკუთრებით განთქმული, საყდარი უნდა ყოფილიყო, თორემ შეუძლებელია მთელ აღბანიაში, იბერიიდან დაწყებული კასპიის ზღვამდე, მთავარ ღვთაების ტაძარი ხალხს მხოლოდ ერთი ჰქონოდა.

შევადართ ესეა ზემომოყვანილი სტრაბონის ცნობა თეთრ-გიორგობას. სოფ. აწყურში 14 აგვისტოს საღამოთი ქართლ-იდან, კახეთიდან, ქიხივილი და თუშეთი-ხევსურეთიდან დიდძალი მღოცავი მოიყრის ხოლმე თავსა. მოსული ხალხი ჯერ ეკლესიის გაღვანს გარს შემოუყვლის ხოლმე სამგზის, ან რა და შეიძვხის. მარჯვნივ დასაველით კარბიდან იწყებენ სიარულს და მარცხნივ მიდიან მანამ ისევ იმ კარებს არ მიაღებენ; ასე სამჯერ ან შეიძჯერ. წინ მუდამ დედაკაცები მიუძღვიან, მათ მამაკაცთა გუნდი მისდევს. ორივე გუნდი „დიდებას“ გალობს ხოლმე რიგ-რიგად, ხან დედაკაცთა გუნდი, ხან მამაკაცთა გუნდი: „დიდება და დემეტრსა დიდება, წმინდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“. საღამოს ზარს დაარსისებენ თუ არა, ხალხი ეკლესიისაკენ გაეშურება ხოლმე. ამ დროს ერთი თეთრ-გიორგის მონათაგანი დაეცემა დასავლეთის კარის ბჯესთან თავით ჩრდილოეთისკენ, ისე რომ საყდარში შესვლა არ შეიძლებოდა, თუ რომ კაცი ან ზედ არ გადააბრტყეს, ან ზედ არ შესდგება. მღვდელმა და ხალხმა მონაზე უნდა გადაიაროს; რაც უნდა ძალიან დაადგან ფეხი იგი მაინც ცდილობს კინტი არ დასძრას. ეკლესიას რომ შემოუვლიან გაღვანში შეკრებილი ხალხი ქუდ-მოხილი ირგვილი დვას და მოწიწებით ერთ-ერთს თეთრებში შემოსილს მოთა-

მაშე მონა-ქალს შესცქერის. მოცეკვავე შეუწყვეტილ, გატაცებით უფლის, იგი თეთრი გიორგის ხატის მონაა და ხატი აცეკვებს. დროგამოშვებით ქალს გულიდგან გმინვა ამოუვარდელა ხოლმე და იკრუნხება.

საყდართან შეკრებილი ხალხი, რომელსაც აღთქმა აქვს დადებული, შეწირულ ცხვრებით მღვდელს გარშემო ეხვევა. მღვდელი საღმთოს შუბლზე მატყვს შეუტრუსავს ხოლმე და თითონაც შემდეგ ლოცვას ამბობს: „წმინდაო გიორგი, შეწირე საღმთო მონისა შენისაო“ და სახელს დაუმატყვს; იქვე დიაკონიცა სდგას; დიაკონთან მლოცველები მივლენ ხოლმე, ყელზე შანა აქვთ შემბული და წმინდა გიორგის მონებად ითვლებიან; მათ განსაზღვრული ვადით აღთქმა აქვთ დადებული. როცა ვადა გაივლის, მონები ხატის კარზე მიდიან სალოცავად და მონობის ასახედლად. დიაკონი იმათ საღმრთოს მატყვს შეატყვს, მონებს შანას შესხნის და ვაანთავისუფლებს ხოლმე. თეთრ ტანისამოსში მონა ქალები ამ დროს საყდარს ჩოქვით გარშემო უვლიან. თითოს მთვარის კისერზე თეთრი გიორგის ეკლესიის მძიმე რკინის ჯაჭვი ადევს და ყველანი ნახის ხმითა გალობენ და თანად ანთებულ სანთლებს კედლებზე აკრავენ. ერთი მათგანი ბამის ძაფს ახვევს კვირისთავით ეკლესიის გარშემო. ეკლესიის მიდამოში მთელი დამე ცეცხლი ანთია.

საკვირველი მსგავსებაა... ცხრამეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც სტრაბონმა პირველად აღწერა მთვარის დღესასწაული, ქართველმა ხალხმა, ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო, მერე კიდევ ქრისტიანობა; ამ ორ სარწმუნოებამ ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ჩვენ ეროვნულ აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე, მაგრამ მაინც ასე საუცხოოდ არის შენახული უძველეს სარწმუნოების კვალი. სტრაბონი ამბობს: მთვარის ხატის ემები ქადაგად დაეცემიან ხოლმე და წინასწარმეტყველებენ; ესეც წმინდა გიორგის მონები, ისინი ვინც თავიანთ თავის სამსახურს აღუთქვამენ ხოლმე. თეთრი გიორგის ქადაგად დაეცემიან და ხალხს ხატის ნებას უცხადებენ. საღამო ხანს, როცა მწუხრის ზარი დაირეკება ხოლმე, ერთი მონათაგანი ეკლესიის კარებს წინ დაეცემა და საყდარში შემავალი ხალხი იმას ზედ აბიჯებს და რაც უნდა ძალიან დააჭირონ ფეხი, მონამ უნდა მოითმინოს და ხმა არ უნდა დასძრას. ამ მონასაც, ყველა წმინდა გიორგის ემებისათვის მათულის შანა აბია ყელზე. ეს შანა ჯაჭვის მაგივრად არის; ვისაც სტრაბონის დროს I საუკუნის დამდეგს (ქრ.წ.) მთვარის მსხვერპლად აირჩევდნენ, ყელზე ჯაჭვს შეაბამდნენ და ერთი წლის განმავლობაში ჰკეპავდნენ ხოლმე. ბ-ნი ილია ზარაფიშვილის სიტყვით ესეა: „თეთრი გიორგის ეკლესიის კარზე არის ნახევარი ფარგალი რკინისა, რომელსაც აქვთ იქით რკინის ჯაჭვები ჰკეპია, სულ წონით ერთ ფუთზე მეტი იქნება; ამ ნახევარ ფარგალს მონები კისერზე იდებენ, ჯაჭვები აქვთ იქით ჩამოუშვებდნენ და ასე დატვირთულნი ან ნელის ნაბიჯით ან არა და ჩოქვით ეკლესიის გარს უვლიან ხოლმე სამგზის.“

მონა რომ ეკლესიის კარებს წინ დაეცემა ხოლმე, ეს იმას მოასწავებს, ვითომც იგი მკვდარი იყოს. ხოლო რომ ეს აზრი სწორია, იმით მტკიცდება, რომ რაც უნდა ძალიან დააჭირონ ფეხი საყდარში შემავალმა მლოცველმა, მონამ მაინც არ უნდა დაიყვიროს. რა? სწორედ იმიტომ, რომ იგი მკვდარია, შეწირულს მსხვერპლს წარმოადგენს. დასასრულ, როგორც სტრაბონის დროს მთვარის ტაძრად მისული მლოცავები სამსხვერპლად შეწირულ მონას, ფეხს დაადგამდნენ ხოლმე, რომ ამრიგად ცოდვებისაგან განწმენდილიყვნენ, ამხიარადვე ესეც თეთრ გიორგის საყდარში შემავალმა ხალხმა კარების წინ დაეცემულ მონას ზედ უნდა გადააბიჯოს ხოლმე და ფეხი დაადგას. ერთი სიტყვით, ესეა მთელი ჩვეულება ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ სურათს წარმოადგენს. რასაკვირველია ის მონები, რომელნიც მძიმე რკინის ჯაჭვით ყელზე ჩოქვით გარშემო უვლიან ხოლმე ეკლესიას, ისინიც სიმბოლურად შესწირავ მსხვერპლს წარმოადგენენ. ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ როგორც სტრაბონის დროს ესეც თეთრ გიორგის საღმრთოს უკლავდნენ ხოლმე; მხოლოდ მთვარის ტაძრის მთავარ ქურუმის მაგივრობას ესეც, აწყურის თეთრ გიორ-

გობას, მღვდელი და მისი დიაკონი ასრულებენ. როგორც სტრაბონის დროს მთვარის ტაძარს გარშემო დაბურული ხელუხლებელი ტყე იყო ხოლმე, ისე ამ რამდენიმე წლის წინად აწყურის თეთრ გიორგის მახლობლად იღ. ზარაფიშვილის სიტყვით წმინდა ხეები იყო, რომლებსაც ხალხი სანთელს უნთებდა და ქადაგი შეწირავდა მოჰქონდა. „ეს ხეები ჩემ დროს დაფურცდნენ და წაიჭვნენ“, მწერს ბ. ზარაფაშვილი. თეთრი გიორგის საყდარი აშენებულია მაღალ მთაზე.

მთელი ეს თეთრი გიორგის ხატობის ჩვეულება მაშასადამე მთვარის ძველ, წარმართობის-დროინდელ, დღესასწაულის ნაშთია. ამ გარემოებას შემდეგი მოსაზრებაც უფრო ცხადად ჰყოფს. უმთავრესია ხატობა: ყველა ჩვეულებანი, ზვარაკების შეწირვა, ქადაგად დაეცემა და სხვა-14 აგვისტოს მწუხრის დროს იწყება და მთელ დამეს გასტანს ხოლმე; თეთრ გიორგობაში დამის თვეს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. რატომ? იმიტომ, რომ თეთრი გიორგობა მთვარის ხატობაა, მთვარე-კი რასაკვირველია, მწუხრის დროს, საღამოთი გამოჩნდება ხოლმე. სტრაბონიც ხომ აღნიშნავს, წინასწარმეტყველება მთვარის მსახურთ შეეძლოთ. როგორც მთვარეს ისე წმინდა გიორგობაც საკუთარი მამულები აქვს და ამ მამულების მთავარი გამგებია ხევისბერის ხელშია. ერთი სიტყვით ხევსურეთსა და ფშავეთშიაც წმინდა გიორგის ხატობა მთვარეს ხატობის თაყვანისცემის და მსახურების ნაშთს წარმოადგენს.

ავიღოთ ესეა ქართლი: გორის ჯვარი; ვახუშტი ამბობს „გორის პირისპირ არს გულესია წმინდის გიორგისა, მაღალ გორასა ზედა ნაშენი, სასწაულთ მოქმედი თავი წმინდისა გიორგისა მდებარეობს ჯვარსა შინა. უწოდებენ გორის ჯვარს“. ამ საყდარში ინახება დიდი მძიმე რკინის ჯაჭვი. როცა მლოცველი რომელსაც წმინდა გიორგისათვის შეთქმული აქვს, ეკლესიის კარზე მივა, ამ რკინის ჯაჭვს კისერზე დაიდებს და სამჯერ გარს შემოუვლის ხოლმე. ამ შემთხვევაშიაც შენახულია ძველი ადამიანის მსხვერპლის შეწირვის ჩვეულება. სოფ. არგოში გერისთობა, წმინდა გიორგის ხატობა, 14-15-ს აგვისტოს იცის, ამ დღესასწაულს თავი გერისთობა ჰქვია, სწორი 21-22-ს აგვისტოს არის ხოლმე, მეორე სწორი კიდევ ერთი კვირის შემდეგ 28-29-ს. აქაც აუარველი ხალხი იტობება მთელ ქართლში; სამღრთოს დეკეულებს ცხვრებს და მამლებს სწორავენ ხოლმე წმინდა გიორგის და, ვისაც აღთქმული აქვს თეთრები აცვია; ზოგს შეიძლება პერად შეყენებულ იყოს. ზვარაკის დაკვეთა მხოლოდ არჩეულ პირს „ნატს“ შეუძლიან. საღმრთობის შეწირვის შემდეგ ფერხულს ნააბამენ ხოლმე და აქა-იქ წმინდა გიორგის მონა ქალი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებას დაიწყებს ხოლმე. აქ ყურადღების ღირსია პირველი და მეორე სწორი. რასა ნიშნავს ეს სწორზე უქმობა და რით უნდა აიხსნებოდეს იგი? 15-ს იმიტომ, რომ მთვარე ამ დროს სრულია, ხოლო სწორზე მეოთხე მეოთხედში, ანუ მცხრალი იქნება იგი; ერთი სიტყვით სწორი უქმობა მთვარის მეოთხედებზე არის დამყარებული. როგორც სხვაგან აქაც ქადაგი წმინდა გიორგის ნებას უცხადებენ ხალხს. შემდეგ საინტერესოა, რომ წმინდა გიორგის შეთქმულ ბავშვებს მთელ საქართველოში „ბერს“ ეძახიან; წმინდა გიორგის ხატს მთავარ მსახურსაც ხომ „ხევის ბერი“ ერქვა; მაშასადამე ყველა, ვისაც-ც წმინდა გიორგის – მთვარის სამსახურისა და მონობის აღთქმა ჰქონდა დადებული, ბერად იწოდებოდა.

დასავლეთ საქართველოშიაც მთვარის თაყვანისცემის, და მსახურების კვალი წმინდა გიორგის ხატობაში არის შენახული. მაგალითად, რაჭის მაზრაში, სოფ. სორს არის „ჯაჭვის მონასტერი“ მრავალ ძალის წმინდა გიორგის სახელობაზე. სოფლის მახლობლად ტყეში „გადამის საყდარი“ დგას. ამ საყდარში ერთი რკინის მშვილდისარი ჯაჭვითურთ და რკინისავე ისარი ძვეს. სოფ. სორში ერთი დიდი ხატობა იცის „ნაცისურობა“ ჰქვია. ნაცისურობა ნაადგიომეც, მეოთხე კვირას, ორშაბათობით არის ხოლმე და მისი კვირის განმავლობაში ყოველ ორშაბათობით „ნაცისურობას“ უქმობენ. ამგვარად თავი ნაცისურობის გარდა, კიდევ სამი სწორი იცის. ნაცისურობას მრავალი მლოცავი იყრის ხოლმე თავსა; ხატობა კვირა საღამოთი იწყობა, ვახუშტის დროს; ხალხი მაშინაც ნაცისურის გორაკისაკენ

მიეშურება. ხალხში თქმულებაა დარჩენილი რომ იმ ალაგას ოდესღაც ციხე და ეკლესია იდგა, და ნაცისურობა სოფ. სორის „ვაკების ბედზეა“ დაწესებული. ნაცისურის მცხოვრებნი ლოცულობენ წმინდა გიორგის ხატის წინ, რომელსაც მღვდელი ეხლანდელ ეკლესიიდან გამოასვენებს ხოლმე, და ფულებს სწირავენ. პარაკლისის გადახდის შემდეგ ქალები და კაცები ფერხულს ნააბამენ ხოლმე და გათენებამდის სიმღერით და ცეკვით შეეცევიან. მხოლოდ რიურაჟის დროს იშლება ხალხი. ნაცისურობასაც თეთრი გიორგის ხატობისავით დამით უქმობენ ხოლმე. მთვარის მსახურობა და თაყვანისცემა მხოლოდ დამით შეიძლება. სამი სწორისა და თავი ნაცისურობის უქმობის ჩვეულება აგრეთვე მთვარის მეოთხედების თაყვანისცემაზეა დამყარებული. გერისთობას მხოლოდ ორი სწორი იცის, ნაცისურობას სამივეა შენახული, მაშასადამე თავი ნაცისურობა – ახალ მთვარის თაყვანისცემის ნაშთი იქნება, პირველი, მეორე და მესამე სწორი კიდევ – პირველი, მეორე და უკანასკნელ მეოთხედის უქმეს უდრის. განსაკუთრებით ყურადღების გირსია ის გარემოება, რომ ნაცისურობა, თავიცა და სამივე სწორიც მხოლოდ კვირა დამესა და ორშაბათობით იცის ხოლმე. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს რომ მრავალძალის წმინდა გიორგის ხატობა, „ნაცისურობა“, მთვარის ძველი თაყვანისცემისა და მსახურების ნაშთია, იმიტომ რომ წარმართობის დროს ორშაბათს ქართულად მთავარი დღე ერქვა, მაშასადამე მთვარის თაყვანისცემისათვის იყო განკუთვნილი; ესეც კი ორშაბათს მეგრულად-თუთაშხა, სვანურად-ლომულ ჰქვია და ორივე სიტყვა „მთვარის დღესა“ ნიშნავს; მხოლოდ ქრისტიანობის გავლენის გამო ძველი სახელის მაგიერ ქართულ მწერლობაში „ორშაბათი“ შემოიხიზნა. ამგვარად სწორედ ის გარემოება რომ თავი ნაცისურობა და სამი სწორი კვირა დამიდან დაწყებული ორშაბათობით იცის, საუცხოოდ ამტკიცებს, რომ ეს მრავალძალის წმინდა გიორგობა მთვარის მსახურების ნაშთს წარმოადგენს. ამის გარდა ხალხში დარჩენილი თქმულება რომ ნაცისურობა „ვაკების ბედზეა“-ო, ძველი მთვარის ხატობისავე კვალს გვიჩვენებს. ხალხს ესეა აღარ ესმის ამ დღესასწაულის მნიშვნელობა, მაგრამ „ვაკების ბედი“ ამტკიცებს, რომ იმ დღეს სოფ. სორის ბედს ანუ მომავალს იგებდნენ ხოლმე; ჩვენ ვიცით რომ მთვარის ხატობის დროს მსხვერპლის შეწირვის დროსა და ქადაგად დაეცემულ ხატის მონების დადებებიდან მომალ ბედ-იბაღს იტყოდა ხოლმე, ჩვენ ვიცით, რომ ამ ჩვეულების ხატის მსახურების კვალი ეხლანდელ დრომდისაც თეთრ გიორგობაში შეჩენილია; „ნაცისურობის“ „ვაკების ბედი“-ც ამ გვარადვე მთვარის თაყვანისცემის ნაშთი უნდა იყოს. იქნებ ის რკინის ჯაჭვიცა და მშვილდისარიც მთვარის ღვთაებისადმი შესწირავი მსხვერპლის საკლავი იარაღი იყოს; ზემოთ გამორკვეულია, რომ სტრაბონის დროს საღმთოს შესწირავად ჯაჭვსა და ლახვარსა ხმობდნენ ხოლმე რომ წმინდა გიორგობის დღეობაში შერჩენილ მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ ჩვეულებაში სწორედ ჯაჭვსა აქვს მნიშვნელობა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



შერვაშიძე (ჩარბა) ალექსანდრე კონსტანტინეს (ხურშილბაის) ძე

დაიბადა 1867 წელს, გარდაიცვალა 1968 წელს

ქართულ ჟურნალ "დროშას" 1956 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის, დოცენტ ოთარ ფირალიშვილის ვრცელი სტატია, რომელშიც გაშუქებული იყო ცნობილი აფხაზი მხატვრის ალექსანდრე კონსტანტინეს ძე შერვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსესანიშნავი მოვლენები. ამავე ჟურნალში დაისტამბა "უცნობი გოგონას პორტრეტი", რომელიც ამ შესანიშნავი შემოქმედის მიერ ფერადი ფანქრებით იყო შესრულებული.

1956 წლის 18 მარტს კი გაზეთმა "კომუნისტმა" გამოაქვეყნა ა. შერვაშიძის მიერ შესრულებული ესკიზები თეატრალური დადგმებისათვის "შირანდა" და "ჰამლეტი", რომლებიც მოსკოვში აღმოაჩინეს ხელოვნებათმცოდნეებმა. სამწუხაროდ, მხატვრის ბევრი ნაწარმოები დღემდე აღმოჩენილი არ არის...

სწორედ ბატონ ოთარ ფირალიშვილის უანგარო გარჯის წყალობით ვახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო შემოქმედის ალექსანდრე შერვაშიძის ბიოგრაფია, რომელსაც ვთავაზობთ კიდევ ჩვენს მკითხველებს.

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე შერვაშიძე დაიბადა 1867 წლის 24 დეკემბერს. იგი გახლდათ კონსტანტინე (ხურშიბეი) შერვაშიძის შვილი, რომელიც აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ძმა იყო. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ (1864 წელი) შერვაშიძეთა ოჯახი რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიასში გადასახლდა. მომავალმა მხატვარმა საშუალო განათლება კიევის რეალურ სასწავლებელში მიიღო. 1891 წლიდან იგი ორი წლის განმავლობაში იყო მოსკოვის ფერწერული სასწავლებლის ხუროთმოძღვრებისა და ძეგლების ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი. 1892 წელს მონაწილეობა მიიღო სასწავლებლის მსმენელთა ნამუშევრების გამოფენაში, სადაც დამოუკიდებელია ყურადღება მიიპყრო მისი ნატიფი მარჯვენით შექმნილი ტილოები: "სადამოს მწუხრის დადგომა", "ბადი", "მეგობრები", "სადამოვლება" და სხვა.

1895 წელს ალექსანდრე შერვაშიძე პარიზში გაემგზავრა და პროფესორ

ფერნარდ კორმონის მოწაფე გახდა. პარიზში მან და მისმა პეტერბურგელმა მეგობარმა მხატვრებმა დორისოვმა, მუსატოვმა, ებერმა, ბენუამ, ლანსერემ და სხვებმა შემოქმედებითი წრე ჩამოაყალიბეს. 1899 წელს ისინი რუსეთში დაბრუნდნენ.

ალექსანდრე შერვაშიძე მოგვიანებითაც ჩადიოდა პარიზში. ეს მოხდა 1904, 1905, 1911 და 1912 წლებში, როცა მან მონაწილეობა მიიღო ავტორიტეტულ გამოფენებში. პეტერბურგის ჟურნალებში იბეჭდებოდა პარიზელი მხატვრების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მისი სტატიები, იგი აშუქებდა ასევე რუსი მხატვრების პარიზული გამოფენის პერიპეტებს, ფრანგული სამხატვრო ხელოვნების კვლევის საკითხებს და სხვა. ამ თემებს ეძღვნება, მაგალითად, მისი ვრცელი წერილი "გაზაფხულის სალონი", ფრანგი მხატვრის ჟორჟ სერეს შემოქმედების ანალიზი, ფრანგული ფერწერის ასწლოვანი ისტორიის ამსახველი პუბლიკაცია და სხვა.

1899 წელს ალექსანდრე შერვაშიძემ მოსკოვის მხატვართა ამხანაგობის მეექვსე გამოფენაზე წარმოადგინა მის მიერ შესრულებული მამაკაცის პორტრეტი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში შემორჩენილია ალექსანდრე შერვაშიძის სამი ბრწყინვალე ნამუშევარი, რომელთა შორისაა "უცნობი ქალიშვილის პორტრეტი".

ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედების ფორმირების რთული პროცესი მიმდინარეობდა რუსულ სახვით კულტურაზე დაყრდნობით. იგი აფორმებდა თეატრალურ წარმოდგენებს პარიზში, მადრიდსა და ლონდონში, მაგრამ მისი შემოქმედების ძირითადი ნაწილი მაინც პეტერბურგს უკავშირდება, სადაც იგი რამდენიმე თეატრის მხატვარ-გამფორმებლის ამპლუას ითავსებდა. სწორედ მის მარჯვენას ეკუთვნის სპექტაკლების "ტრისტანი და იზოლდა", "ჰამლეტი", "ფაუსტი" და და პეტერბურგის თეატრის სხვა საინტერესო დადგმების მხატვრული გაფორმება.

ალექსანდრე შერვაშიძეს დიდი წვლილი მიუძღვის რუსული დეკორატიული ხელოვნების აღორძინებისა და შემდგომი

განვითარების საქმეში. ერთ-ერთი რუსი ხელოვნებათმცოდნე მიომხილველი, მხედველობაში ჰქონდა რა ოდესაში მოწოდებული გამოფენა, აღნიშნავდა: "დეკორატიული ხელოვნების ის რეფორმა, რომელიც განახორციელეს ჩვენი დროის საუკეთესო დეკორატორებმა პ. კორვინმა, ა. გოლოვინმა და ა. შერვაშიძემ, გავაღებულა, რომ პროვინციებსაც გაავაცნოთ თუნდაც თეატრალური სცენის გაფორმების ერთ-ერთი თანამედროვე ხელოვნის შემოქმედება. ალექსანდრე შერვაშიძემ აქ (იგულისხმება - ოდესა) გამოფინა ოპერა "ფაუსტის" დეკორატიული ესკიზები, რომლებიც ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის...".

1918 წელს ალექსანდრე შერვაშიძე მშობლიურ სოხუმს დაუბრუნდა, სადაც პოეტ გიორგი შერვაშიძის ოჯახში ცხოვრობდა. აქ მან თეატრალური საზოგადოება ჩამოაყალიბა და თეატრალური კურსები გახსნა. მალე იგი ლონდონს გაემგზავრა, სადაც ერთმა დიდმა, ავტორიტეტულმა თეატრმა მიიწვია დამდგმელ მხატვრად. მას განზრახული ჰქონდა, რომ მალე დაბრუნებულიყო სამშობლოში, მაგრამ მის ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა - დიდი შემოქმედი უცხოეთში გარდაიცვალა.

ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედება მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებს. უპირველესად საჭიროა მისი მდიდარი შემოქმედების მოძიება, რადგამ მისი ნამუშევრები დაფანტულია მრავალ ქვეყანაში. წერილში "სახლი მასალები ქართველ მხატვრებზე", რომელიც გაზეთმა "კომუნისტმა" გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ უკვე მოძიებულია დიდი აფხაზი მხატვრის ნატიფი მარჯვენით შესრულებული 50 თეატრალური დეკორატიული ესკიზი.

მხატვრის შემოქმედება, რომელთა გამოფენა ხშირად ეწეობოდა მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ოდესასა და სხვა დიდ ქალაქებში, ფართო გზას უხსნიდა მის ნამუშევრებს და ამიტომ, მათი მოძიება შეიძლება პოსტსაბჭოთა სივრცის ბევრ ქალაქში. მისი ნაწარმოებების აღმოჩენა შეიძლება არა მხოლოდ არქივებსა და მუზეუმებში, არამედ პერიოდულ პრესაში,

რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალექსანდრე შერვაშიძე აქტიურად მონაწილეობდა სახვითი ხელოვნების საკითხებთან დაკავშირებულ პოლემიკებში.

პრესაში ასევე ვრცლად იბეჭდებოდა შერვაშიძის თანამედროვეთა შეხედულებები აფხაზი მხატვრის ჭეშმარიტად მდიდარ შემოქმედებაზე.

აფხაზეთის სამხატვრო სალონმა და აფხაზეთის დ. გულიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა უნდა ითავოს ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მოძიებისა და თავმოყრის საშური საქმე, რომელსაც ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს აფხაზეთისა და საქართველოს კულტურის სამინისტროებმა.

აქვე შევნიშნავთ, რომ, როცა ბატონმა ოთარ ფირალიშვილმა 1956 წელს გამოაქვეყნა თავისი ზემოდასახელებული სტატია, მან არ იცოდა, რომ ალექსანდრე შერვაშიძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მხატვარი პარიზში გარდაიცვალა 1968 წელს, 101 წლის ასაკში. 1985 წელს მისი ნეშტი გადმოსვენებულ იქნა სოხუმში და დაკრძალულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ეზოში.

ალექსანდრე შერვაშიძის მდიდარი შემოქმედების გაშუქებისათვის დიდი შრომა გასწიეს აფხაზმა ჟურნალისტმა და ხელოვნებათმცოდნემ, ბატონმა ბონა აჯინჯალმა, რომელმაც მხატვარს სპეციალური წიგნი მიუძღვნა 1978 წელს.

სამწუხაროა, რომ არც ერთ ენციკლოპედიაში არ მოიპოვება თუნდაც რაიმე სახის მწირი ცნობა ამ დიდებული შემოქმედის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

არველორი კუპრავა

ბაზეთი "ილორი" თხოვს მითხვამ საზოგადოებას მოგაწოდოს მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ცნობილი აფხაზი მხატვრის ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრების, ან მის შემოქმედებასთან დაკავშირებული პუბლიკაციების თარგამ, რაც ფართოდ გაშუქდება ჩვენი ბაზეთის გვერდებზე

ბალელები უმთავრესად გამოთქვამენ

ბალის რაიონის მცხოვრებნი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ხელი არ მიუწვდებათ პრესაზე, იქნება ეს ქართული, რუსული თუ აფხაზური. ერთადერთი გაზეთი, რომელიც ბალში თვეში ერთხელ შეაქვთ, არის მეგრულ-რუსულ-აფხაზურენოვანი გაზეთი "ბალი" და ისიც ხელთ დააქვთ მათ გამავრცელებლებს, რადგან ბალში საგაზეთო ჯიხურები არ არსებობს.

აფხაზური აღმინისტრაციის ევროკავშირის ინფორმაციას იწონებს

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ქალაქ ბალში შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო საზოგადოებრივმა ცენტრმა "ქალაქი ბალი". რომლის მიზანია ბალის (და არა მისი სოფლების) მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მიზნით გაიმართება დიალოგები ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ბალის აფხაზურმა აღმინისტრაციამ თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა ევროკავშირის ამ ინიციატივას.

სააგენტო "საქინფორმი"

В КАКОГО БОГА ВЕРЯТ АМЕРИКАНЦЫ?

Девиз на американском долларе гласит «В Бога мы веруем». И, действительно, как утверждают американологи, США практически не знали подобного Европе повального атеизма, и религия в жизни американцев играла и играет значительную роль. Только вот какая религия? Какая именно вера

(речь идет о большинстве американцев) позволяет жить в мире с американским образом жизни, и успешно функционировать в обществе безграничного потребления. Ведь не то что к мусульманам, но даже к католикам (которым, по мнению жителей США, не хватает толерантности) относятся здесь с некоторым подозрением.

На этот вопрос отвечает исследование, проведенное службой Pew-Forum, занимающейся вопросами религии и общественной жизни, говорящее о том, что большая часть американцев придерживается не конкретного религиозного учения, а компилируют свою собственную, частную религию из разнообразных представлений о вере. При этом христианские традиции нередко сливаются здесь с отдельными моментами, присущими азиатским религиям - в духе движения New Age.

По словам сотрудника Pew-Forum Аллана Купермана, для многих в США стало совершенно привычным перемешивать различные религиозные убеждения и практики. При этом интенсивность занятия религией в достаточной степени усилилась. Почти половина из более чем 4000 опрошенных американцев заявили о том, что у них есть определенный религиозный или мистический опыт, или что им довелось пережить «момент внезапного религиозного прозрения или пробуждения». Число сказавших об этом стало почти в два раза больше по сравнению с 1962 годом, когда проводился подобный же опрос.

Почти что четверть опрошенных и 22% респондентов, относящих себя к «практикующим христианам» заявили, что верят в реинкарнацию - то есть, в представление о том, что после смерти они снова и снова будут рождаться в новом образе. Широкое распространение имеют и представления религии New Age, последователи которой среди прочего верят в

спиритуальную энергию деревьев и кристаллов. Астрология тоже является важной составной частью убеждений многих американцев. А 16% опрошенных заявили, что верят в «дурной глаз».

Примерно 30% реципиентов признались сегодня в том, что, по их ощущениям, им доводилось вступать в контакт с умершими, в то время как в 1996 году число их составляло 18%.

Каждый третий регулярно или время от времени посещает богослужения в одной или нескольких церквях, а четверть опрошенных бывает также и на различных мероприятиях, организуемых религиозной общиной.

Социолог религий Майкл Линдсей из университета Райс в Хьюстоне (Техас) сказал, что американцы свою религию составляют как playlist - то есть, почти так, как любители музыки собирают любимые мелодии на компьютере или на MP3-плеере. «Подобно тому, как все мы персонализируем наш iPhone, мы персонализируем и нашу религиозную жизнь», - заявил ученый.

Подобный подход кажется тем притягательнее, или, говоря американским языком, комфортнее, поскольку позволяет избежать табу, имеющихся в каждой традиционной религии. Кроме того, так вовсе не обязательно двигаться к Богу, а можно лепить своего бога по собственному усмотрению, как больше нравится и как удобнее. Вроде, как делай что хочешь, «лишь бы в душе был Бог», совершенно не задумываясь о том, что Ему нечего делать в себялюбивой, эгоцентричной, мелкой, развращенной душонке.

С таким подходом можно оправдать, и разрешить себе все что угодно, вплоть до труположества и черной магии. Такой подход, собственно говоря, и является базой для New Age, которая, по мнению иеромонаха Серафима Роуза, является религией грядущего антихриста. По-

нятно почему - такое смешение лишает человека понимания, что есть зло, а что есть добро, не дает отличить истины от лжи, словом, полностью его дезориентирует и превращает в послушную марионетку в чужих руках.

Примечательно, что идея New Age, как движения, позволяющего «объединить» и синтезировать различные религиозные учения и практике возникли в США не на пустом месте. Как известно, масоны, чья роль в создании и строительстве этой державы очень велика, любят хвастаться, что на «алтаре» их «храма» возложены приношения каждой из существующих религий. Теперь эта духовная всеядность перестала быть эксклюзивной практикой «блистательных братьев», и отдана в пользование «профанов». Так вольные камешники именуют всех не принадлежащих к их кругу.

Всеволод Дранкин



# ჩვენს ახალგაზრდობას საქართველოს ჭაშვარიც ისტორიას ასწავლიან?

ბოლო წლებში ბევრჯერ მითქვამს და ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ სიკეთისა და ბოროტების გაურჩევლობამ განაპირობა დღევანდელი მდგომარეობა, ჭეშმარიტების შეუცნობლობამ და მასზე ინტერესის დაკარგვამ დაამახინჯა ეროვნული სული და ყოფნა-არყოფის ზღვარზე დაგვაყენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველობა სულიერი ძალების მობილხეობას კი არ შეუდგა, რომ გადაერჩინა დღევანდელარყოფის წინაპართა მიერ შექმნილი თვითმყოფადი კულტურა, არამედ გაითითოკაცდა და მხოლოდ ბუნებით ნიჭიერმა, მაგრამ სულიერად დამდაბლებულმა და მატერიალურ სიმდიდრეს დახარბებულმა საზოგადოების ნაწილმა მოახერხა გაერთიანება და ხელში ჩაიგდო ძალაუფლება; ამიტომ, საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი, ქართველი საზოგადოების „ჯანსაღ“ ნაწილთან ერთად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადაიხვეწა, მათგან ბევრი იქ დაოჯახდა და იქ „იდეალის ფიზიკური გადარჩენისათვის“. საზოგადოების დარჩენილი ნაწილი, ბევრად ნაკლები პოტენციალის მქონე, ხელისუფლებაში მოსულ მგლებს შერჩათ საჯიჯგნად და სულს დაფავს.

ბუნებრივია, ასეთი ხელისუფლება ათასი ჯურის გადამთავლებისათვის საექსპერიმენტო პოლიგონად ქცეულ საქართველოში ვერ იზრუნებს საზოგადოების სულიერი ამაღლებისათვის, პირიქით, ორიენტირებულია საზოგადოების დაგანაკურთხებით, ახალგაზრდობის სულიერი დეგრადაციისაკენ; შედეგად, უმოწყალოდ და მიზანმიმართულად მახინჯდება ეროვნული სული, რაც ჩვენი ერის ჭეშმარიტი ისტორიის გაყვალბებით დაიწყო და ამ სიყვალბების თავგადაკლული დაცვით გრძელდება.

ერთხელ კიდევ, ამიტომ ვუბრუნდები ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებას“.

ზოგიერთი, თითქოს, დღევანდელი მდგომარეობით შეწუხებული „ქართველი“ (შეიძლება, ისინი ქართული გვარის მატარებელი არმენები, ანუ არმენოფილი „ქართველები“ არიან, რომლებიც თურმე 77% ყოფილა თბილისში, იხ. გაზეთი „ერთობა“, №4, ივლისი, 2003წ.) მედავება, რომ ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული სომეხი მეფის შთამომავლები (არშაკუნიები) – ეროვნებით იბერიული მოდგმისანი იყვნენო. მაგრამ „ლეონტი მროველი“ პაიაკებს იბერიული მოდგმისად და ქართველთა თანატოლად კი არ თვლის, არამედ ქართველთა მამამთავრად და ამტკიცებს – ქართლოსიანთა ენა სომხური იყო.

ჩვენთვის და, საერთოდ, იბერთათვის კარგადაა ცნობილი ვინ იყვნენ (იბერ(თ)ძენი პელაზგები და ვინ იყვნენ გრეკები, რომლებიც თავიანთ თავს ელინებს ეძახიან და არა ბერძნებს. ასევე, კარგად ვიცით, ვინ იყვნენ **სომე(ს)ხი(ილი)** (სომე(ს) – სომილი) იბერები და ვინ არიან სომეხი – მიგრირებული არმენები, მაგრამ, შეუძლებელია, „ქართლის ცხოვრების“ ავტორსაც არ სცოდნოდა განსხვავება ისტორიულ სომეხსა და ვაიქართველებისგან სომხად წოდებულ არმენებს შორის, რომლებმაც არმენთა მეფის – **ტიგრან II** დროს იბერიის წაართვა მისი სამფლობელო ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, მაგრამ ნახევარი საუკუნის განმავლობაშიც ვერ შეინარჩუნა.

იბერთა და სომეხთა ომი და, საერთოდ, იბერია „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენები არ არის. ე.ი. „სომეხები“ იბერებს ებრძოდნენ, თორემ, ქართველები და „სომეხები“, თურმე, კეთილმეზობლურად და მეგობრულად ცხოვრობდნენ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დაახლოებით, ამ დროიდან მეფობენ არშაკუნიანები.

სომეხი უფლისწულის გამეფება ქართლში „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, თურმე, ასე მომხდარა: ქართველთა მეფემ, დედით ფარნავაზიანმა, ხოლო მამით ნებროთიანმა სპარსმა – ფარნავაზიმა „... შეიყვარა სჯული სპარსთა, ცეცხლის – მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგუნი და დასხნა ივინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ქჰქან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა. ამისთვის მიიძულეს იგი მკედრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი

სასობა აქუნდა კერპთა მიმართ. მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა (სახელი ცოხსენიებული არ არის, კ.ფ.) და რქუეს: „მეფე ჩვენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩვენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მკერობელთა ქართლისათა, შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ არღარა ღირს იგი მეფედ ჩვენდა. მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უხის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩვენთა. გუაშუედე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნავაზომ, შემომდებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩვენთა“.

მაშინ სინად სომეხთა მეფესა განზრახვა ესე. გაგზავნა მოციქული მათი პასუხითა კეთილითა და რქუა მათ: „უკეთუ ჭეშმარიტად უბიწოთა გულითა გნებავსთ მეფედ თქუნდა ძე ჩემი, თქუენ ყოველთა ერისთავთა მომეცით მე მივეალი, და მოგცე ძე ჩემი მეფედ თქუნდა, და **ქრომლიანნი ნიჭითა აღმზნნე**“ (ხაზი ჩემია, კ.ფ.).

მაშინ ერისთავთა ქართლისათა უმრავლესთა მისცეს მიველები და განაცხადეს განდგომა ფარნავაზომისი. მაშინ სომეხთა მეფე ყოველთა ძალითა მისითა წარმოემართა ქართლს. ხოლო ფარნავაზომ მეფეგან მოუწოდა სპარსთა და მოიყვანა სპარსნი ძლიერნი და რომელნიმე დარჩომოდეს შემოკრიბა ქართველნიცა. ხოლო ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი მიეგებეს სომეხთა მეფესა ტაშირს, და მუნ შეკრბა სიმრავლე სომეხთა და ქართველთა. ხოლო ფარნავაზომ მიეგება მუნვე ტაშირს.

იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი, მოსწყდა ორგანივე ურიცხვ, რამეთუ იძლია ფარნავაზომ სომეხთა და ქართველთაგან. და მოიკლა ფარნავაზომ და მოსრეს სპა მისი. ხოლო ძე ფარნავაზომისი მირვან, წლისა ერთისა ყრმა, წარავანა მამამთუქმან მისმან, და ილტვოდა სპარსეთს. ხოლო მეფემან მოსცა ძე თუსი არშაკ“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტომი I, თბ. 1955, გვ.29-30).

გონიერი მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორმა კარგად იცის ქართველი ერის წარსული და სხვადასხვა ხანაში ორი სხვადასხვა ენოვანი სომეხის არსებობა: პირველი, **სომეხი**, რომელიც ეროვნებით იბერი იყო და სალიტერატურო ენა იბერიული ჰქონდა (შეიძლება, მათს რეგიონალურ მეტყველებაში იბერიულისაგან მხოლოდ კილოკავური ან, უარეს შემთხვევაში დიალექტური განსხვავება ყოფილიყო) არმენთა კავკასიაში მიგრაციამდე, შემდეგ კი არმენებში გაითქვიფა; და მეორე, **სომეხი**, რომელიც თავიანთ თავს პაიაკს უწოდებს, სხვები კი არმენს. პაიაკები მიგრირებული იყვნენ სომეხს (დღევანდელი სომხეთის) ტერიტორიაზე, რომლებშიც გაითქვიფნენ აბორიგენი – სომეხად წოდებული იბერები და, რომლის გამო, შედეგის გაუზრებლად (მსგავსი გაუზრებლობა მხოლოდ ერთი არ გვჭირს ქართველებს), მათაც **სომეხი** უწოდეს და დღემდე ასე ვუწოდებთ მათ მხოლოდ ქართველები.

გონიერი მკითხველი აუცილებლად მიხვდება, რომ „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორი, ლეონტი მროველი იყო იგი, თუ არმენაკ არამიანცი, ის „სომე(ს)ხი(ილი)“ პაიაკია, რომელმაც კარგად იცის, რომ აფხაზეთად წოდებული იბერიული სახელმწიფოს მეფემ – **თეოდოს II** აფხაზეთის მეფედ აკურთხა თავისი დისშვილი, ქართლის უფლისწული – **ბაგრატ III** ბაგრატიონი და ამით მიეცა ქართველს აღზევების საშუალება (თუ იბერთა დაქვემდებარებაში დაჩაგრულად გმობდნენ თავს), მაგრამ, რომ გაექარწყლებინა **თეოდოს II** მიერ გადადგმული ბრძნული პოლიტიკური ნაბიჯი (დაშლილი იბერიის დინასტიური გზით გაერთიანება), რომ არმენთა სასარგებლოდ გამოეყენებინა „დაშვებული შეცდომა“ და მეგვიდრეთა ცნობიერებაში წაეშალა იბერიის ოდესღაც არსებობა, ეს ისტორიული სინამდვილე ახ. წ. აღ-ის 978 წლიდან ფარნავაზის ხანაში გადაიტანა, ფარნავაზი ქართლის მეფედ დააფიქსირა (ისედაც, იბერიის მეფე ქართლის მეფეც იყო), იბერიული სახ-

ელმწიფო ვერის - აფხაზეთი არარსებულ იქნა ხელით ფარნავაზს ჩააბარა და იბერთა როლში სომეხი ერი ჩააყენა: „აქამოდის (ძვ. წ. აღ-ის VI საუკუნემდე, ხაზი ჩემია, კ.ფ.) ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“ (როცა ქართველთა სალიტერატურო ენა, უკვე აღ-ის VI საუკუნემდე, არამედ ახ.წ. აღ-ის 523 წლამდე იბერიული იყო); „კავკასიის ნახევარი პარსის მისცაო“ (მოგონილმა, კ.ფ.) თარგამოსმა“ (როცა კავკასია, ნახევარი კი არა, მთლიანად იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხს ეკუთვნოდა ძვ. წ. აღ-ის IV თუ II საუკუნემდე და ნახევარი დღესაც ეკუთვნის); ქართველთა მეფენი არმენ არშაკუნიანებად წარმოადგინა და ეს სიცრუე, რომ გაემართლებინა ქართველებს მამასახლისზე უფრო დიდი თანამდებობის პირი არ ჰყავდათო, - დააფიქსირა.

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორი იმ „სომე(ს)ხი(ილითა“ წარმომადგენელია, რომელთა წინაპრმა ვერავლად მოსინჯა იბერებთან ფიზიკური ძალა ტიგრან II მეთაურით, მაგრამ, რადგანაც იმ დროინდელი წარმადგენელი ხანმოკლე აღმოჩნდა, საერთოდ არ ახსენა ეს ისტორიული სინამდვილე; ან შეიძლება, არ ახსენა იმ აზრით, რომ ეს იყო იბერებთან ომი, თორემ, ქართველთა „კეთილგანწყობილი“ იყო ყოველთვის და „ყველაფერი სმქონე“ არაფერს „იშურებდა“ ქართველებისათვის, უფლისწულსაც კი, რომ „ყოველითავე ნიჭით ადევსო“ ქართველობა; შემდგომ, თავიდანვე „ყოველითა ნიჭით ადვისილმა“ შეპაიკებმა ქრისტიანობა შემოიტანეს და გაანათლეს ქართველობა; შეგვიქმნეს საკუთარზე უკეთესი, მსოფლიოში ყველაზე დრმა შინაარსის მქონე, დახვეწილი და უღამაზესი დამწერლობა, აღიარებული თვითმყოფადი კულტურა და ხელოვნება, არქიტექტურა, შედეგები სიმღერასა და ცეკვაში, მოგვცეს შოთა რუსთაველი და მისი „მეფისტყაოსანი“, „ქეთა დადაღის“ ავტორი ილია ჭავჭავაძე და სხვა უნიჭიერესი მამულიშვილი, ე.ი., ერთი ანეგდოტისა არ იყოს, ყველაფერი საუკეთესო ქართველებს უბოძეს, ლამის მამაკაციური სასქესო ორგანოც კი, რომელიც, თურმე, ორთა პქონდათ არმენებს, ხოლო ქართველებს, ერთიც არა, თითო საუკეთესო ქართველებს დაუთმეს. უკანასკნელი – ანეგდოტია, მაგრამ ფაქტია რომ, მას შემდეგ, რაც პაიაკებმა „ყოველითა ნიჭით ადავსეს“ ქართველობა, მთელ მსოფლიოს მოსდეს სომხური კულტურის „უბირატესობა“ ქართულ კულტურაზე. ამიტომ უმტკიცებდა თავგამოდებით ქართველებს ერთი გერმანელი ორიენტალისტი ბერლინში, „დაბადების“ სომხურად თარგმნის 1500 წლის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულზე და თვალის ბრილით უთქვამს: „ქართული კულტურა სომხურის განადგეიანო“ (მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ. 1990, გვ. 245.).

ამიტომ არის „ლეონტი მროველის“ „ქართლის ცხოვრება“ ახვერდიან – ახვერდოვებისათვის ეროვნული საუნჯე, ხოლო ქართველებისათვის ცინიზმის ზეობის მწვერვალი.

ასე რომ, ქართველი ერის ისტორია ხელახლა დასაწერია და დასაწერია არა ყალბი ისტორია, არმენთა მიბადებით, არამედ ისეთი, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი თავიდანვე იღვწოდა.

**კუპუში ფიფია, „ფაზისის“ აკადემიის ნამდვილი წევრი**



## სააკაშილა ირაკლი ალასანიას თავდასვის შინისტრობა შესთავაზა

სანდო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლება კოალიციური მთავრობის შექმნას გეგმავს. ამის გაკეთებას მმართველი პარტია 2012 ან 2013 წლისთვის კი არა, ახლა ფიქრობს. კულუარული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ორ ოპოზიციონერ ლიდერს უკვე შეხვდა და მინისტრთა კაბინეტში საკმაოდ სოლიდური პორტფელები შესთავაზა.

ერთი მათგანი ირაკლი ალასანიას. ერთ-ერთი ვერსიით, მას თავდაცვის მინისტრის პოსტი შესთავაზეს, მეორე ვერსიით კი – საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. ირაკლი ალასანიას ამჯერად თანამდებობის დაკავებაზე უარი უთქვამს.

მეორე ოპოზიციონერის ვინაობა, ამ ეტაპზე არ ხმაურდება. ოპოზიციის წარმომადგენლებს თანამდებობის დაკავების სურვილი, ალბათ, აქვთ, მაგრამ ისინი ახლა ამას ერიდებიან, რადგან წინ საპარალელენტო და საპრეზიდენტო არჩევნებია და მინისტრთა კაბინეტში ნაადრევი გადაბარება არ სურთ.

თუ მმართველი პარტია რაღაც მიზეზების გამო ახლა კოალიციური მთავრობის შექმნაზე უარს იტყვის, ეს იდეა აქტუალური, სავარაუდოდ, საპარალელენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მაინც გახდება.

## მიუხან და ალბერტოს ახალი კოშკი

ბათუმის ბუღვანში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, თბილისის მერთან, ბათუმის მერთან და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, იმ ადგილას, სადაც ხუთ თვეში ანზანის კოშკი უნდა აშენდეს, სიმბოლური კავსულა ჩადა.

130 მეტრის სიმაღლის კოშკი ესპანელმა არქიტექტორმა ალბერტო დომინგო კაბომ დააპროექტა. კოშკი სფეროს ფორმის კონსტრუქციით ბოლოვდება, იგი ოთხსართულიანი იქნება. აქ განთავსდება ტელესტუდიები, ობსერვატორია და მზრუნავი რესტორანი. ანზანის თითო ასობერის სიმაღლე შვიდი მეტრი იქნება.

პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ ბათუმში საზაგირო გზის და ფუნქციონირის აშენებას გეგმავს.

„დღეს ვხსენით ბათუმის ეიფელის კოშკის მშენებლობას და გვკვირდება 5 თვე, რომ ეს ყველაფერი გაკეთდეს. ეს არის სახელმწიფო და კერძო ინვესტიცია და მთაზე ასევე იწყება ფუნქციონირის მშენებლობა. საუბარია საზაგირო გზაზეც. ბათუმს ექნება ფუნქციონირი და ანაზა. აქ იქნება სატელევიზიო სტუდიები. ძალიან მაგარი მოტივალე რესტორანი. მაგრამ აქ მთავარი იდეა არის ქართული ანზანი. თუ დააკვირდებით, ის მსოფლიოში არც ერთ სხვა ანძას არ ჰგავს. ეს, პრაქტიკულად, არის ქართული ანზანის დიდი მონუმენტი, რომელიც აქ იხსენება“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

პროექტი ბათუმის მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი მშენებლობა 5 თვეში უნდა დასრულდეს. ანზანის კოშკს ქართული კომპანია „მაგისტალი“ ააშენებს. ჯერჯერობით არაა ცნობილი მისი ბიუჯეტი.

როგორც პროექტის ხელმძღვანელობა აცხადებს, მშენებლობაზე ასამდე ადგილობრივი დასაქმდება. თუმცა საკითხავია ის, რომ ახლა, როდესაც ყველაზე მეტად უჭირს ქვეყანას და ვალებს ვალეზე იღებს, რამდენად გამართლებულია ასეთი მშენებლობის წამოწყება.

სააგენტო „საბინფორმი“

ბაზეთი "ილორი" უძღვება რუმბოვას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინ-გლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვიბეჭადენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იღვამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმეტრებელი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ უღამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ღამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოეწვინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუმბოვა მინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი - ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამახასიურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუშინიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემდეინ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

**არსენიო მირკო**  
დაიბადა 1915 წელს, პარაგვაიში თამაშობდა კლუბებში "ასუნსიონი" (პარაგვაი), "ინდეპენდენტე" და "ურაკანი" (არგენტინა).  
ჯერჯერობით, ერთადერთ სპორტსმენად, ვინ არსენიო ერიკოსავით სიყმაწვილეში გახდა სახელგანთქმული ფეხბურთელი, შეიძლება მხოლოდ დიდი აღფრევლი დი სტეფანო ვალიაროთ. იგი პარაგვაიში დაიბადა და ეხოში ისწავლა ფეხბურთის თამაში, 17 წლის ასაკში კი იმდენად პოპულარული იყო, რომ საქველმოქმედო მატჩში მიიწვიეს ბუენოს-აირესში, რომელიც პარაგვაის წითელი ჯვრისა და ნახევარმთავრის ორგანიზაციამ მოაწყო ბოლივიასთან გამართული სისხლისმღვრელი ომის დროს. ტრიბუნებზე მსხდომი საფეხბურთო კლუბ "ინდეპენდენტეს" მესვეურები იმდენად მოიხიბლნენ ამ ყმაწვილის მაღალტექნიკური და შედეგადანი თამაშით, რომ საქველმოქმედო მატჩის დამთავრებისთანავე გააფორმეს მასთან შესაბამისი კონტრაქტი და იგი ამ სახელგანთქმულ გუნდში მიიწვიეს. ამის სანაცვლოდ გუნდის ხელმძღვანელობამ საგრძობი თანხა გადარიცხა აღნიშნული ომის ფონდში.  
თავიდან ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც ფიქრობდნენ ამ გარიგების ორგანიზატორები: ერიკომ ორჯერ მოიტეხა ხელი, რის გამოც მას მნიშვნელოვანი მატჩების გამოტოვება უწევდა. მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თითქოს ჯადოსნური ძალა წყალობდა ერიკოს, რომელიც გოლს გოლზე იტანდა. 1936-1937 წლების სეზონში ერიკომ 47 გოლი გაიტანა, რაც დღემდე სარეკორდო მაჩვენებლად ითვლება. რამდენიმე მატჩში მან ხუთი გოლის გატანა მოახერხა. მაგრამ 1941 წელს ერიკო წაეხსნა კლუბის ხელმძღვანელობას საკონტრაქტო პირობების დარღვევის გამო და პარაგვაიში

დაბრუნდა. "ინდეპენდენტე" ემუდარებოდა, რომ გუნდში დაბრუნებულიყო, მაგრამ აქ უკვე საქმეში ჩაერია მუხლის ტრავმა, რამაც აიძულა ერიკო, რომ 1944 წელს საბოლოოდ გაენებებინა თავი დიდი ფეხბურთისათვის.  
**პარნაპე უმპირა**  
დაიბადა 1909 წელს არგენტინაში თამაშობდა კლუბებში "ტიგრე" და "რივერ-პლეტი" (არგენტინა).  
ფერეირას მეტსახელად "მორტირა" დაარქვეს, რადგან თითქმის არანორმალური დარტყმის ძალა გააჩნდა. ფერეირა გახლდათ არგენტინული ფეხბურთის პირველი ჭეშმარიტი გმირი. მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში მან 200 გოლზე მეტი გაიტანა, რაცა გუნდებში "ტიგრესა" და "რივერ-პლეტიში" თამაშობდა. მისი "რივერ-პლეტიში" სათამაშოდ გადასვლა, რაც ამ გუნდს 45.000 პესო დაუჯდა, ფაქტიურად იყო პირველი დიდი ტრანსფერული გარიგება, მას შემდეგ, რაც არგენტინაში პროფესიონალური ფეხბურთი დამკვიდრდა. პირველივე სეზონში (1932-1933 წლები) ფერეირამ არგენტინის ჩემპიონატში გაიტანა 43 გოლი, რაც იმ დროისათვის მართლაც გამოგნებელი შედეგი გახლდათ.  
ფორვარდს იმდენად რეკლამურად გააქონდა გოლები, რომ ქვეყნის ერთ-ერთი გაზეთი აპირებდა ოქროს მდლის დაწესებას იმ მეკარისათვის, რომელიც ფერეირასაგან არ გაუშვებდა გოლს.  
სამწუხაროდ, ბერნარდე ფერეირამ მხოლოდ ოთხი მატჩი ჩაატარა არგენტინის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. 1939 წელს მან თავისი ბუცები კედელზე ჩამოკიდა და მშობლიურ ქალაქ რუფინოში დაბრუნდა. 1943 წელს ფერეირა მშობლიურ "რივერ-პლეტს" დაუბრუნდა და ერთ-ერთი აღმინისტრაციული თანამდებობა დაიკავა. 1956 წელს კი ამ გუნდმა დიდი ფეხბურთელის ბერნაბე ფერეირას საპა-

ტივცემულად ჩაატარა ამხანაგური მატჩი, რომელიც ამ ფეხბურთელის ერთგულების სინონიმად იქცა არგენტინული და მსოფლიო ფეხბურთისადმი.  
**ლუიშ ფილიპე მაფიოა კაიერო ფიბუ**  
დაიბადა 1972 წლის 4 ნოემბერს, პორტუგალიაში.  
თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში "სპორტინგ კლუბი" (პორტუგალია), "ბარსელონა" და "რეალი" მადრიდი (ესპანეთი).  
2000 წლის ზაფხულში ლუიშ ფიგუ "ბარსელონადან" მადრიდის "რეალში" გადავიდა, რისთვისაც ამ უკანასკნელმა იმ დროისათვის სარეკორდო თანხა - 35 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხდა. მან ჯერ კიდევ სიყმაწვილეში გაითქვა სახელი, როცა იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში (1989 წელი) და ასევე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში (1991 წელი) გაამარჯვებინა პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრებს. მოზრდილთა ფეხბურთში კი ფიგუს პირველი დიდი ჯილდო ერგო 1995 წელს, როცა "სპორტინგ კლუბის" შემადგენლობაში პორტუგალიის თასს დაუფლდა. "იუვენტუსსა" და "პარმას" ამ ფეხბურთელის შექმნის დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ გარიგება არ შედგა, რადგან ლუიშ ფიგუ "ბარსელონაში" შეიძინა. ესპანეთში წამიერად მოვიდა აღიარება: 1997 წელს ფიგუმ ევროპის თასის მფლობელთა თასი მოიპოვა, 1998 და 1999 წლის ესპანეთის ჩემპიონატებზე კი, სადაც ფიგუ გინდის კაპიტნის რანგში გამოდიოდა, იგი ესპანეთის ჩემპიონი გახდა. ფიგუ წარმატებით გამოვიდა პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე, რომლის შემდეგ მადრიდის "რეალმა" მიიწვია, სადაც დაასრულა კიდევ კარიერა.

გიორგი ჯალაღანი

- იჯარა**
- გავიგე, სიდერთან გინხუბია.
- კი, აგრესიულ საკითხებში ვერ შევთანხმდით.
- ეგ როგორ?
- მას უნდა, მე ჩამდოს მიწაში, მე - პირიქით.
- \*\*\*
- ოსი ტრაბახობა:
- რასაც თავში ჩავიდებ, ყველაფერი მახსოვს.
- ჩემი ვალი რომ გაქვს, ის რატომ არ გახსოვს?
- ეგ თავში კი არა, ჯიბეში ჩავიდებ...
- \*\*\*
- მეგრელი რეკავს რადიოში:
- რადიოა, მაგალითად?
- დიახ.
- ძალიან მომეწონა ბახის სიმფონია და ავტორი ვინაა?
- \*\*\*
- სვანი დაღვწილი წევს საავადმყოფოში.
- რა დაგემართა?
- ხეს დაგეჯახე.
- აუუუუ, წარმომიდგენია, რა დღეში იქნება მანქანა.
- არა, ფეხით ვიყავი.
- \*\*\*
- მზვერავების უმაღლეს სკოლაში მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტმა არც ერთ კითხვას არ უპასუხა, ამიტომ, ის არა მარტო მიიღეს, არამედ პირდაპირ მეორე კურსზე დასვეს.
- \*\*\*
- დათვი უშიშროებაში დაიბარეს:
- საიდან გაქვს ეგ ქურქი?
- ჯერ მერცხლის ამბავი იკითხეთ, ყოველ წელს აფრიკაში რომ ისვენებს...



საკავშილო-ალიევს მაფიოზობაში

**საკავშილო-ალიევს მაფიოზობაში სდებენ ბრალს**  
ლეიბორისტული პარტია საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს მაფიოზურ ქმედებებში სდებს ბრალს. პარტიის იდეოლოგიური მდივნის, ვახა მაგანიას განცხადებით, კავკასიაში საკავშილო-ალიევის დიქტატორულ-მონარქიული ტანდემი გამოიკვეთა, რის საფუძველზეც ორი ქვეყნის ლიდერი ერთობლივად ეწევა ბიზნეს-საქმიანობას.  
"აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის ვიზიტთან დაკავშირებით მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ კავკასიაში გამოიკვეთა ორი ფაქტობრივი დიქტატორ-მონარქის, საკავშილო-ალიევის ტანდემი, რომლებიც ერთად ეწევიან ბიზნეს-მაფიოზურ საქმიანობას, განსაკუთრებით ენერგო-მატარებლებზე", - განაცხადა მაგანიამ.  
მისივე ინფორმაციით, საკავშილოს თხოვნით, აზერბაიჯანის ხელისუფლებიდან საქართველოში მცხოვრებ ნახევარ მილიონზე მეტ ეთნიკურ აზერბაიჯანელს დირექტივები ეძლევათ, რათა არჩევნებზე ხმა მისცენ მიხეილ სააკაშვილს.

**საკავშილო სვანეთისგან შევიცარიის შექმნას ცდილობს**  
ამერიკული გამოცემა „eurasianet“-მა სვანეთის შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა. სტატიაში ნათქვამია, რომ „მიხეილ სააკაშვილის მთავრობა ცდილობს, საქართველოს ყველაზე მაღალი მთები მსოფლიო კლასის დასასვენებელ ზონად გადააქციოს. სვანეთის რეგიონი, რომელიც რუსეთსა და აფხაზეთს ესაზღვრება, ცნობილია გამოგნებელი მთის ხედვებით“.  
სტატიაში აღნიშნულია, რომ სააკაშვილის ადმინისტრაციამ სვანეთის „კავკასიურ შევიცარიად“ გადაქცევას ცდილობს. ვრცლად არის საუბარი მესტიაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზეც.  
„eurasianet“-ი მესტიაში მიმდინარე აღმშენებლობის პარალელურად ადგილობრივი მოსახელობის ქონებასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც წერს.  
„ივლისში მესტიის საკრებულოს წევრი „ნაციონალური მოძრაობის“ ოპონენტი, ნელი ნავერიანი იმ მიზეზით დააპატიმრეს, რომ თითქოს კანადელი ინვესტორისგან მისი ოჯახის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამო თანხის გამოძალგას ცდილობდა“, - წერს „eurasianet“-ი და აღნიშნავს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას სვანეთის განვითარებისთვის საუკეთესო გზად საკურორტო კონცეფცია მიაჩნია.  
**რუსეთი "მისტრალს" წლის ბოლომდე იყიდის**  
რუსეთმა, შესაძლოა, ვერტმფრენში დიდი "მისტრალი" წლის ბოლომდე შეიძინოს. სააგენტო "რია ნოვოსტის" ცნობით, ამის შესახებ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა, არმიის გენერალმა ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა.  
"ვინც უფრო ხარისხიან გემს შემოგვთავაზებს, ნაკლებ ვადასა და ნაკლებ ფასს, ის გამარჯვებს. კონტრაქტი, შესაძლოა, წლის ბოლომდე გაფორმდეს", - განაცხადა მაკაროვმა.

რუსეთის ხელისუფლება ვერტმფრენში დიდ აწყოებასა და შექმნაზე საერთაშორისო ტენდერის გამოცხადებას გეგმავს.  
სექტემბრის შუა რიცხვებში თავდაცვის სფეროს მაღალი თანამდებობის წყარომ განაცხადა, რომ ტენდერი თვის ბოლომდე უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა ეს ამ დრომდე არ მომხდარა.  
**სამხედრო პოლიციაში 20 000 ადამიანი იმსახურებს**  
რუსეთის მთავრობამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ქვეყანაში უნდა შეიქმნას სამხედრო პოლიცია. "რია-ნოვოსტის" ინფორმაციით, მასში 20 000 თანამშრომელი იმსახურებს. ამჟამად გენერალური შტაბი ორგანიზაციულ-სტრუქტურულ სქემას ამუშავებს.  
უკვე გადაწყვეტილია, რომ პოლიციელთა შტაბი, მირითადად, სამხედროებისგან დაკომპლექტდება. ეს ის სამხედროები არიან, რომლებიც რეფორმის შედეგად არმიის რიგებიდან დაითხოვეს.  
პირველად სამხედრო პოლიციის შექმნის იდეა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში გაჩნდა 1989 წელს, ამ იდეას რუსეთი კიდევ 2006 წელს დაუბრუნდა და ამ დრომდე მუდმივად განიხილავს მას. 2010 წლის ივნისში რუსეთის სამხედრო პროკურორი სერგეი ფრიდინსკი აცხადებდა, რომ საქმე დიდი რაოდენობით ნორმატიული აქტების მიღების შემდეგ გადაწყდებოდა. სექტემბერში კი, მისივე განცხადებით თანახმად, საკითხი ჯერ მზად არ იყო საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია. ახალი პოლიცია სამხედრო ქონების ქურდობის, სამხედრო გაწვევისაგან თავის არიდებისა და სხვა სამხედრო დანაშაულებების გამოძიებით დაკავდება. ამგვარი პოლიცია დღეს მსოფლიოს 40-მდე ქვეყანაში მოქმედებს.  
სააგენტო "საძინფორმი"

ISSN 1987-8966 "ილორი"  
რედაქციის მისამართია: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მ-4 სართული სარეგ. №01018002930  
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანი  
მთ. რედაქტორის მოაღბილე: ღამით ქობალია  
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოღრიშვილი  
ბაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია  
www ilori.ge  
e-mail: elisabetthal@yahoo.de  
რედაქციის განთავსება 34-32-95  
893-51-01-71  
899-34-37-27